პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 141 (11752)
კვირა,
19
ივნისი
1960 წ.

ფასი 20 კაპ.

პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელებმა დაათვალიერეს თვითმფრინავი „ან-24“

18 ივნისს დილით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა დაათვალიერა ახალი საბჭოთა სამგზავრო ორმოტორიანი ტურბოხრახნიანი თვითმფრინავი „ან-24“. ეს ლაინერი განკუთვნილია მგზავრების გადასაყვანად შიდა ხაზებზე. იგი იტევს 42 კაცს და ავითარებს საათში 500 კილომეტრამდე სიჩქარეს.

ნ. ს. ხრუშჩოვთან ერთად ახალი თვითმფრინავი დაათვალიერეს ამხანაგებმა ა. ბ. არისტოვმა, ლ. ი. ბრეჟნევმა, ნ. გ. იგნატოვმა, ფ. რ. კოზლოვმა, ა. ნ. კოსიგინმა, ო. ვ. კუუსინენმა, ა. ი. მიქოიანმა, ნ. ა. მუხიტდინოვმა, ნ. ვ. პოდგორნიმ, დ. ს. პოლიანსკიმ, ე. ა. ფურცევამ, ნ. მ. შვერნიკმა, მ. ა. სუსლოვმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებმა ა. თ. ზასიადკომ, ვ. ნ. ნოვიკოვმა, დ. თ. უსტინოვმა. (საკდესი).

ჩვენი გამომგონებლები, რაციონალიზატორები

საქართველოს სს რესპუბლიკის საწარმოთა, მშენებლობათა, ტრანსპორტის, სამეცნიერო-საკვლევი ორგანიზაციების კოლექტივები, საკოლმეურნეო სოფლის მშრომელები ფართოდ ემზადებიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავისათვის.

გრანდიოზული შვიდწლიანი გეგმის წარმატებით განხორციელებისათვის საჭიროა შეუნელებელი ბრძოლა ვაწარმოოთ ტექნიკური პროგრესისათვის, შრომის მაღალი ნაყოფიერების მიღწევისათვის. ამ ბრძოლაში დიდმნიშვნელოვანი როლი ეკუთვნით წარმოების ნოვატორებს, რაციონალიზატორებსა და გამომგონებლებს, რომლებსაც წინ მიჰყავთ ტექნიკური პროგრესის საქმე. გამომგონებლებისა და რაციონალიზატორების, მძიებელი, შემოქმედებითი აზრის ადამიანების მრავალათასიანი არმია განუწყვეტლივ იზრდება, რაც მოწმობს ხალხის ინიციატივის განუხრელ და სწრაფ აღმავლობას, ინიციატივისა, რომლის მიზანია რაც შეიძლება მალე შესრულდეს პარტიის XXI ყრილობის მიერ დასახული გრანდიოზული შვიდწლიანი პროგრამა.

დიდია საქართველოს მრეწველობის მუშაკთა მისწრაფება გამომგონებლობისა და რაციონალიზაციისადმი. ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ წლითიწლობით იზრდება წარმოების ნოვატორთა რიგები, სულ უფრო მეტი რაციონალიზატორული წინადადება შემოდის. მაგალითად, შარშან შემოვიდა 21.285 რაციონალიზატორული წინადადება და გამოგონება — 4.056-ით მეტი, ვიდრე 1958 წელს. შემოსული წინადადებიდან მოწონებული და დასანერგავად მიღებულია 14.101, აქედან წარმოებაში დაინერგა 11.037.

რესპუბლიკის გამომგონებლებმა და რაციონალიზატორებმა ვალდებულება იკისრეს შვიდწლედში დაზოგონ სულ მცირე 500 მილიონი მანეთი. ამ პირობას წარმოების ნოვატორები პირნათლად ასრულებენ. შვიდწლედის პირველ წელს გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვით უკვე მიღებულია 80 მილიონი მანეთი დანაზოგი.

გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა აქტივობა ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისა და შრომის ნაყოფიერების განუხრელი აღმავლობისათვის კიდევ უფრო გაიზარდა შვიდწლედის მეორე წელს. მიმდინარე წლის პირველ კვარტალში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა რიგები 1.449 კაცით გაიზარდა, ხოლო დანერგილი წინადადებების შედეგად მიღებულმა ეკონომიამ 7,7 მილიონი მანეთით გადააჭარბა გასული წლის პირველ კვარტალში მიღებულ ეკონომიას.

მოწინავე ფაბრიკა-ქარხნებში, მაღაროებსა და შახტებში შემოქმედებით აზრს მხურვალედ უჭერენ მხარს და შესამჩნევად გააუმჯობესეს ეს მაჩვენებლები გამომგონებლებისა და რაციონალიზაციის დარგში. ამან კი თავისი დადებითი გავლენა იქონია საწარმოო გეგმების შესრულებაზე. ამიერკავკასიის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიულ ქარხანაში გამომგონებლებისა და რაციონალიზატორების დახმარებით ბევრი ტექნიკური სიახლე განხორციელდა, რამაც საწარმოს კოლექტივს საშუალება მისცა ყოველთვის მთელი მეტალურგიული ციკლით ასრულებდეს საწარმოო დავალებას. ნაყოფიერი მუშაობის შედეგად ხუთ თვეში საწარმოს კოლექტივმა ზეგეგმითი დაგროვებით რესპუბლიკურ ფონდში შეიტანა 5 მილიონი მანეთი. ახლა ქარხნის მშრომელები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ ტექნიკური პროგრესისა და რეკონსტრუქციის ყველა სამუშაო საკუთარი ძალებით შეასრულონ და ამით დიდი თანხები დაუზოგონ სამშობლოს.

ასევე ნაყოფიერად მუშაობენ გამომგონებლები და რაციონალიზატორები თბილისის ს. მ. კიროვის სახელობის ჩარხსაშენებლო ქარხანაში, თბილისის ფეხსაცმლის პირველ ფაბრიკაში.

ვითვალისწინებთ რა შვიდწლედის დიდებულ ამოცანებს, არ შეიძლება დავკმაყოფილდეთ მუშათა გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის ახლანდელი გაქანებით. ჯერ კიდევ გვაქვს დიდი ნაკლოვანებანი, უწინარეს ყოვლისა შემოტანილ წინადადებათა დანერგვის პრაქტიკაში. ნოვატორებს ხვდება ბევრი დაბრკოლება და სიძნელე, რომლებიც ხელს უშლის მათი ინიციატივის სრულად გაშლას.

ქვემოდან მომდინარე შემოქმედებითი ინიციატივის უგულებელყოფის, რუტინის, დახავსებულობის ფაქტებს ვხვდებით არა მარტო ცალკეულ საწარმოებში, არამედ ტრესტებში, სამმართველოებსა და სამინისტროებშიც. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ გამოგონებათა და აღმოჩენათა საქმეების კომიტეტის მიერ 1957 წლის დამლევიდან რეკომენდებული 132 გამოგონებიდან სახალხო მეურნეობაში 1959 წელს დანერგილია მხოლოდ 20.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭო ჯეროვან ყურადღებას არ აქცევს გამომგონებელთა წინადადებების წარმოებაში დანერგვას. თბილისის კამვოლ-მაუდის კომბინატში შეუწყნარებლად გააჭიანურეს ს. ამაშუკელის, ნ. ივანაშვილისა და ა. ბადალოვის კონსტრუქციის ნედლი გაჭუჭყიანებული მატყლის ბირკებისაგან გასაწმენდი საკარბონიზაციო აგრეგატის დამზადება და დანერგვა. ამ გამოგონებამ კი სკკპ XXI ყრილობის აღსანიშნავად მოწყობილ რესპუბლიკურ კონკურსში პირველი პრემია მიიღო და მისი დანერგვა წელიწადში 400 ათას მანეთზე მეტს დაზოგავდა.

გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვისადმი უყურადღებობის ბრალია ისიც, რომ ზოგიერთ საწარმოში მიღებულ წინადადებათა დიდი უმრავლესობა გასულ წელს განუხორციელებელი დარჩა. მაგალითად, რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხანაში წარმოებაში დასანერგავად მიღებული იყო 420 წინადადება; აქედან არ დანერგილა 182 წინადადება. ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში მიიღეს 120 წინადადება, დაუნერგავი დარჩა 63. ახეთივე მდგომარეობაა ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში და ბევრ სხვა საწარმოში.

საჭიროა გადაჭრით აღმოიფხვრას გამომგონებლებისა და რაციონალიზატორებისადმი უსულგულო დამოკიდებულება. პარტიული, პროფკავშირული ორგანიზაციები და სამეურნეო ხელმძღვანელები მოვალენი არიან აქტიურად დაეხმარონ ნოვატორებს. წაახალისონ ისინი, ისე გაუძღვნენ საქმეს, რომ ტექნიკური შემოქმედება ჩვენს საწარმოებში განუწყვეტლივ ვითარდებოდეს.

გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის საქმის გაუმჯობესებაში დიდი როლი უნდა შეასრულონ საქართველოს პროფსაბჭომ, პროფკავშირთა რესპუბლიკურმა კომიტეტებმა და გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა სრულიად საკავშირო საზოგადოების რესპუბლიკურმა საბჭომ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა შემოიღო „საქართველოს სსრ დამსახურებული გამომგონებლის“ და „საქართველოს სსრ დამსახურებული რაციონალიზატორის“ სამკერდე ნიშნები. ეს ღონისძიება კიდევ უფრო მიიზიდავს ჩვენი ნიჭიერი ახალგაზრდობის ფართო წრეებს ტექნიკური პროგრესისათვის აქტიურ ბრძოლაში.

გამომგონებლები და რაციონალიზატორები თავიანთ კეთილშობილურ და ძნელ შრომაში, ახლის ძიებაში, ტექნიკური პროგრესის შემდგომი გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში ყოველ ნაბიჯზე უნდა გრძნობდნენ პარტიული, პროფკავშირული ორგანიზაციების, მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობის მხარდაჭერას.

ნაგომრელი გმირები

ჩაის უხვი მოსავლის მიღების საუკეთესო ტრადიცია აქვთ სოფელ ნაგომრის (მახარაძის რაიონი) კოლმეურნეობა „საქართველოს“ მეჩაიეებს. ყოველწლიურად ზრდიან მოსავალს, აუმჯობესებენ ნედლეულის ხარისხს.

ნაგომრელები მომზადებული შეხვდნენ ჩაის ფოთლის კრეფის სეზონს, ყოველდღიური, განუწყვეტელი კრეფით უზრუნველყოფენ წარმატებას. წარმოებას საშუალოდ დღეში 15-20 ტონა ჩაის ფოთოლს აბარებენ. აქაურ მეჩაიეთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ დღემდე მოკრიფეს 495 ტონაზე მეტი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი ნაცვლად მაის-ივნისის ვალდებულებით გათვალისწინებული 431 ტონისა. კოლმეურნეები ამ მიღწევებით არ კმაყოფილდებიან. მათი მტკიცე გადაწყვეტილებაა ივნისის ბოლომდე მოკრიფონ სულ ცოტა 100 ტონა ზეგეგმითი „მწვანე ოქრო“.

კოლმეურნეობაში ბევრი სახელოვანი მკრეფავია, მაგრამ მაინც საქებია მეჩაიე ლეილა მაღულარია. მან წლიური გეგმით გათვალისწინებული 4,5 ტონის ნაცვლად მოკრიფა 5.500 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. ამავე დროს საუკეთესო მერგოლურია. რგოლმა მაის-ივნისის დავალება 108 პროცენტით გაანაღდა.

ამ სახელოვან მეჩაიეს მხარს უმშვენებს ცნობილი მკრეფავი მერი იოსელიანი. მას მოსავლელად მიჩნეული ჰქონდა 0,7 ჰექტარი და ვალდებულებით უნდა მოეკრიფა 4.500 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. ეს ვალდებულება ვადაზე ადრე გადაჭარბებით გაანაღდა, წლიური გეგმის გადამეტებით 600 კილოგრამი ჩაის ნედლეული მოკრიფა.

ჩვენი რესპუბლიკის სახელოვან მეჩაიეებს ლეილა მაღულარიას და მერი იოსელიანს ეს დიდი გამარჯვება დეპეშით მიულოცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ვ. პ. მჟავანაძემ და უსურვა მათ ახალ წარმატებათა მოპოვება საყვარელი სამშობლოს სადიდებლად, უსურვა ჯანმრთელობა და ბედნიერება, შემოქმედებითი შრომა დიდებული შვიდწლედის დიადი პროგრამის სასახელოდ შესრულებისათვის ბრძოლაში.

ამ ღირსეულმა დაფასებამ ახალი შრომითი ენთუზიაზმი გამოიწვია სოფელში. მეჩაიეები პლანტაციაში შეიკრიბნენ და ახალი დამატებითი ვალდებულება იკისრეს. ლეილა მაღულარიამ პირობა დადო სეზონში მოკრიფოს სულ ცოტა 10 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ახეთივე ვალდებულება იკისრა მერი იოსელიანმა.

— სამშობლო ჩვენგან მოითხოვს მეტსა და მაღალხარისხოვან ჩაის ფოთოლს, — განაცხადა საუბარში კოლმეურნეობის თავმჯდომარემ შალვა სარიშვილმა. ეს კარგად გვაქვს შეგნებული, და ჩვენი სახელოვანი მეჩაიეები შეუპოვრად იბრძვიან ნაკისრი ვალდებულების სასახელოდ განაღდებისათვის. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 71 ტონით მეტი ხარისხოვანი ფოთოლია მოკრეფილი. ახლა ჩვენი ახალი ვალდებულება ასეთია: ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა შევასრულოთ 15 აგვისტოსათვის და ამით უზრუნველვყოთ გენიჩესკელთა „მეგობრობის დროშის“ შენარჩუნება.

ბ. ჩხაიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

* * *

სურათზე: (მარცხნიდან მარჯვნივ) მოწინავე მეჩაიეები ლეილა მაღულარია და მერი იოსელიანი.

ფოტო ა. აბულაძისა.

სკკპ დელეგაცია რუმინეთის მუშათა პარტიის III ყრილობაზე

18 ივნისს ბუქარესტში რუმინეთის მუშათა პარტიის III ყრილობაზე გაემგზავრა სკკპ დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით. დელეგაციაში შედიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ნ. ვ. პოდგორნი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის რუსეთის სფსრ ბიუროს წევრი პ. ნ. პოსპელოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე ბ. ნ. პონომარიოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე ი. ვ. ანდროპოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის სარევიზიო კომისიის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე ლ. თ. ილიჩოვი, სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრი, გაზეთ „პრავდის“ მთავარი რედაქტორი პ. ა. სატიუკოვი. დელეგაციაში შედის აგრეთვე საბჭოთა კავშირის ელჩი რუმინეთის სახალხო რესპუბლიკაში ა. ა. ეპიშევი.

ვნუკოვოს აეროდრომზე დელეგაცია გააცილეს ამხანაგებმა ა. ბ. არისტოვმა, ლ. ი. ბრეჟნევმა, ნ. გ. იგნატოვმა, ფ. რ. კოზლოვმა, ა. ნ. კოსიგინმა, ო. ვ. კუუსინენმა, ა. ი. მიქოიანმა, ნ. ა. მუხიტდინოვმა, დ. ს. პოლიანსკიმ, ე. ა. ფურცევამ, ნ. მ. შვერნიკმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრებმა, მოსკოვისა და ოლქის პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეებმა და პასუხისმგებელმა თანამშრომლებმა, აგრეთვე რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის დროებითმა საქმეთა რწმუნებულმა საბჭოთა კავშირში გ. სტანმა და საელჩოს თანამშრომლებმა. (საკდესი).

„ტურბინთა დღეები“

მოსკოვის სტანისლავსკის თეატრის გასტროლები

გუშინ მოსკოვის სტანისლავსკის სახელობის დრამატული თეატრის კოლექტივმა მეორედ წარმოადგინა მ. ბულგაკოვის პიესა „ტურბინთა დღეები“ (დამდგმელი რეჟისორები — სსრ კავშირის სახალხო არტისტი მ. იანშინი და ს. თუმანოვი).

როლებს ასრულებდნენ: ნ. სალანტი (ალექსი ტურბინი), ი. გრებენშჩიკოვი (ნიკოლოზ ტურბინი), უკრაინის სსრ დამსახურებული არტისტი ტ. სემიჩოვა (ელენე ტალბერგი), ლ. ელაგინი (ვლადიმერ ტალბერგი), ნ. მიხაილოვი (ვიქტორ მიშლაევსკი), ბ. ბელოუსოვი (ლეონიდ შერვინსკი), პ. გლებოვი (ალექსანდრე სტუძინსკი), ე. ლეონოვი (ლარიოსიკი), ვ. მიხაილოვი (გეტმანი), ა. კრუგლიაკი (ბოლბოტუნი) და სხვები.

საინტერესო სპექტაკლმა კვლავ ბევრი მაყურებელი მიიზიდა.

„თვალუწვდენი სივრცეები“

ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის თეატრის გასტროლები

გუშინ ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის დრამატულმა თეატრმა თბილისელ მაყურებელს უჩვენა თავისი ახალი სპექტაკლი — ნ. ვირტას „თვალუწვდენი სივრცეები“, დამდგმელი რეჟისორია ო. ალექსიშვილი, მხატვრობა ეკუთვნის ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ირ. შტენბერგს, მუსიკა — ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, სტალინური პრემიის ლაურეატს ვ. მურადელს.

როლებს ასრულებდნენ: რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები შ. პირველი (მატვეი ხიცნიაკოვი), თ. ღვინიაშვილი (პელაგეია ილინიჩნა), ნ. წინამძღვარი (მართა), ი. ხვიჩია (არეფ პოზდნიაკოვი).

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ დამსახურებული გამომგონებლისა და საქართველოს სსრ დამსახურებული რაციონალიზატორის საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ

თვალსაჩინო გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებებისათვის, რომელთა დანერგვამ სახალხო მეურნეობაში მნიშვნელოვანი ეკონომიური ეფექტი მოიტანა, მიენიჭოთ საპატიო წოდება:

საქართველოს სსრ დამსახურებული გამომგონებლისა

1. **ახალაიას მიხეილ გიორგის-ძეს** — აფხაზეთის ასს რესპუბლიკური სავადმყოფოს განყოფილების გამგეს
2. **მარდალეიშვილს შალვა ფილიპეს-ძეს** — საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს ჩაის მრეწველობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ინჟინერ-კონსტრუქტორს
3. **ფანცულაიას გიორგი ივანეს-ძეს** — ტრესტ „ჭიათურმარგანეცის“ კაპიტალური მშენებლობის სამმართველოს მთავარ ინჟინერს
4. **სოლომკოს ევგენი დიმიტრის-ძეს** — თბილისის № 1 თამბაქოს ფაბრიკის მექანიკოსს
5. **შარკოვსკის ვიქტორ პავლეს-ძეს** — საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს ჩაის მრეწველობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომელს

საქართველოს სსრ დამსახურებული რაციონალიზატორისა

1. **ბადალოვს არტაშ ნერსესის-ძეს** — თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატის „საბჭოთა საქართველოს“ უფროს კონსტრუქტორს
2. **გელაშვილს ზაქარია ვასილის-ძეს** — ავჭალის ვ. ი. ლენინის სახელობის მუშის ქარხნის მექანიკოსს
3. **ნარიმანიძეს იური გიორგის-ძეს** — ამიერკავკასიის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის ზეინკალთა ბრიგადირს
4. **უსეინაშვილს დავით თომას-ძეს** — საქართველოს სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომელს
5. **ხაზარაძეს იოსებ გრიგოლის-ძეს** — ქუთაისის გ. კ. ორჯონიკიძის სახელობის ავტოქარხნის ზეინკალ-ამწყობს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი, 1960 წ. 18 ივნისი.

ბუქარესტში ჩავიდა სკკპ დელეგაცია

ბუქარესტი, 18 ივნისი. საკდესის სპეციალური კორესპონდენტი დ. ბოჩაროვი გადმოგვცემს: დღეს ბუქარესტში რუმინეთის მუშათა პარტიის III ყრილობაზე ჩამოვიდა სკკპ დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით.

დელეგაციის შემადგენლობაში შედიან: სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ნ. ვ. პოდგორნი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის რუსეთის სფსრ ბიუროს წევრი პ. ნ. პოსპელოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე ბ. ნ. პონომარიოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე ი. ვ. ანდროპოვი, სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე ლ. თ. ილიჩოვი, სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრი, გაზეთ „პრავდის“ მთავარი რედაქტორი პ. ა. სატიუკოვი. დელეგაციის შემადგენლობაში შედის აგრეთვე საბჭოთა კავშირის ელჩი რუმინეთის სახალხო რესპუბლიკაში ა. ა. ეპიშევი.

დილის 11 საათისათვის ბენიასის სადღესასწაულოდ მორთულ აეროდრომზე შეიკრიბა რუმინეთის დედაქალაქის მშრომელთა 5 ათასზე მეტი წარმომადგენელი. საბჭოთა სტუმრების შესახვედრად აეროდრომზე მოვიდნენ რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გეორგე გეორგიუ-დეჟი, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე კივუ სტოიკა, დიდი ეროვნული კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარე ი. გ. მაურერი, რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები ამხანაგები გ. აპოსტოლი, პ. ბორილა, ე. ბოდნარაში, ა. დრეგიჩი, ა. მოგიოროში, ნ. ჩაუშესკუ და რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელი მოღვაწეები, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკაში სსრ კავშირის საელჩოს პასუხისმგებელი თანამშრომლები, სოციალისტური ქვეყნების დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები, კომუნისტური და მუშათა პარტიების დელეგაციების წევრები, რომლებიც რუმინეთის მუშათა პარტიის III ყრილობაზე ჩამოვიდნენ.

12 საათზე ბეტონირებულ გზაზე ნარნარით დაეშვა ვერცხლისფერი „ილ-18“ და აეროპორტის შენობასთან მივიდა. თვითმფრინავიდან გამოვიდნენ ნ. ს. ხრუშჩოვი და დელეგაციის წევრები. შეკრებილნი მხურვალედ მიესალმებიან საბჭოთა სტუმრებს. აეროდრომზე გაისმის მძლავრი „ვაშა“, ტაშის ქუხილი. გაისმის შეძახილები: „სსრ კავშირი მშვიდობის ბასტიონია!“.

ნ. ს. ხრუშჩოვი გულითადად გადაეხვია ამხანაგებს გ. გეორგიუ-დეჟს, კივუ სტოიკას, მაგრად ჩამოართვა ხელი რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის სხვა ხელმძღვანელებს. შემდეგ სკკპ დელეგაციის მეთაური მიესალმა მინისტრებს, დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურებს, კომუნისტური და მუშათა პარტიების დელეგაციების წევრებს.

პიონერებმა საბჭოთა სტუმრებს მიართვეს ყვავილთა თაიგულები. კვლავ და კვლავ გაისმის ტაში, მისალმების შეძახილები.

ნ. ს. ხრუშჩოვი, დელეგაციის წევრები და რუმინელი ხელმძღვანელები მანქანებში სხდებიან და ქალაქში მიდიან. საბჭოთა სტუმრებს გზაში მიესალმება ათასობით ბუქარესტელი.

და 1960 წელი გახდეს სოფლის მეურნეობის შემდგომ მიღწევათა წელი!

სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა სრულიად საკავშირო თათბირზე, რომელიც მოსკოვში მიმდინარეობდა 14-17 ივნისს, მიიღეს მიმართვა აგრონომების, ზოოტექნიკოსების, მიწათმომწყობების, ინჟინრების, ვეტერინარი ექიმების, ეკონომისტების, ტექნიკოსების, მექანიკოსების, სოფლის მეურნეობის ყველა სპეციალისტისადმი.

მიმართვაში აღნიშნულია, რომ ამჟამად კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მიაღწიეს განვითარების ისეთ დონეს, რომელიც შესაძლებლობას ქმნის წარმოებაში გამოვიყენოთ არა მარტო ცალკეული მოწინავე ხერხები, არამედ მეცნიერებისა და მოწინავე პრაქტიკის მიღწევათა მთელი კომპლექსი, რომელიც წარმოადგენს ორგანიზაციულ, აგროტექნიკურ, ზოოტექნიკურ ღონისძიებათა სისტემას და მანქანების მიზანშეწონილ სისტემას ჩვენი ქვეყნის ცალკეული ზონების ბუნებრივ-ეკონომიური პირობების გათვალისწინებით.

ვახორციელებთ რა წარმოების სწორ სისტემაზე გადასვლას, ხაზგასმით აღნიშნულია მიმართვაში, საჭიროა, უწინარეს ყოვლისა, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ზუსტად განისაზღვროს მეურნეობის პერსპექტიული სპეციალიზაცია ადგილობრივი ბუნებრივ-ეკონომიური პირობების შესაბამისად და სასაქონლო პროდუქციის გარკვეულ სახეობებზე სახელმწიფო შეკვეთის გათვალისწინებით.

განსაკუთრებით აღნიშნულია, როგორც კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების უმნიშვნელოვანესი ამოცანა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა დარგის განვითარების საფუძველი, ბრძოლა მარცვლეულის წარმოების ყოველი ღონისძიებით გადიდებისათვის. ვიბრძოთ რა მიწათმოქმედების მაღალი კულტურისათვის, ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის უხვი და მყარი მოსავლისათვის, საჭიროა პირველ რიგში სანიმუშო წესრიგი დამყარდეს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მინდვრებში. მიმართვაში, კერძოდ, აღნიშნულია, რომ საჭიროა ბრძოლა ნიადაგების ეროზიის წინააღმდეგ, ორგანული სასუქების დაგროვებისათვის, სწორი შენახვისა და მინდორში დროზე შეტანისათვის, მაღალხარისხოვანი თესლებით თესვისათვის.

იმისათვის, რომ ვადამდე მთლიანად და გადაჭარბებით შევასრულოთ ხორცის, რძისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების წარმოების შვიდწლიანი გეგმა, უნდა გამოვავლინოთ და ყოველი ღონისძიებით გამოვიყენოთ ახალი რეზერვები, გავადიდოთ ყველა სახეობის პირუტყვის სულადობა, გავზარდოთ მათი პროდუქტიულობა, შევქმნათ მყარი საკვები ბაზა. ამაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სიმინდს.

მიმართვაში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ საჭიროა ყოველი ღონისძიებით დავნერგოთ ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის დამუშავებისა და მეცხოველეობის ფერმებში წარმოების პროცესების კომპლექსური მექანიზაცია კოლმეურნეობებში დამუშავებული ტექნოლოგიური რუკების საფუძველზე. საჭიროა ვიბრძოლოთ თვითეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში სამუშაოთა სრული მექანიზაციისათვის.

თათბირის მონაწილენი მოუწოდებენ სოფლის მეურნეობის ყველა სპეციალისტს გახდნენ წარმოების ნამდვილი ორგანიზატორები, თავიანთი ბეჯითი, თავდადებული შრომით მიაღწიონ მარცვლეულის, კარტოფილის, ბოსტნეულის, ბამბის, შაქრის ჭარხლის, სელისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვი მოსავლისა და მთლიანი მოსავლის მიღების, ხორცის, რძის, მატყლისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების წარმოების შემდგომ გადიდებას.

და 1960 წელი გახდეს სოციალისტური სოფლის მეურნეობის შემდგომი, უფრო დიდი მიღწევის წელი. (საკდესი).

ЕМЛЕВСКИЙ
ТЕАТР

პირველი წარმატება

რუსთაველის თეატრის გასტროლები მოსკოვში

მოსკოვი, 18 ივნისი. (საქდესის სპეც. კორ.). დღეს კრემლის თეატრში სპექტაკლ „ბახტრიონით“ დაიწყო თავისი გასტროლები რუსთაველის სახელობის დრამატულმა თეატრმა.

სპექტაკლის დაწყებამდე სცენაზე გამოვიდნენ ქალაქ მოსკოვის თეატრების წარმომადგენლები. მხურვალედ მიესალმა რა საქართველოდან ჩამოსულ ძვირფას სტუმრებს, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა მ. ცარიოვმა აღნიშნა რუსთაველის თეატრის პოპულარული კოლექტივის დამსახურება და უსურვა მას შემდგომი შემოქმედებითი ზრდა საბჭოთა სამშობლოს სადიდებლად.

რუსთაველის სახელობის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა დ. ალექსიძემ თეატრის კოლექტივის სახელით ჩვენი ქვეყნის დედაქალაქის საზოგადოებრიობას მადლობა გადაუხადა გულითადი და ძმური მიღებისათვის.

მთავარი როლები შეასრულეს — სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ს. ზაქარიაძემ, რესპუბლიკის სახალხო არტისტებმა თ. ჭავჭავაძემ, მ. ჩიხლაძემ, გ. საღარაძემ, ე. აფხაიძემ, რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტებმა ბ. ზაქარიაძემ, კ. მახარაძემ, მსახიობებმა ზ. კვერენჩხილაძემ, ჯ. ლოლანიძემ, კ. კავსაძემ, ვ. ელოშვილმა და სხვებმა.

სპექტაკლმა დიდი წარმატებით ჩაიარა.

* * *

სურათზე: რუსთაველის სახელობის თეატრის მსახიობთა ერთი ჯგუფი მოსკოვში, კრემლის თეატრის წინ.

ფოტო ი. დავითაშვილისა.

ლ. ნ. ტოლსტოის გარდაცვალების 50 წლისთავისათვის

რესპუბლიკაში დაიწყო მუშაობა დიდი რუსი მწერლისა და მოაზროვნის ლევ ნიკოლოზის-ძე ტოლსტოის გარდაცვალების 50 წლისთავისათვის მოსამზადებლად, რაც აღინიშნება მიმდინარე წლის ნოემბერში.

საქართველოს მწერალთა კავშირმა შექმნა საიუბილეო კომისია, რომელშიც შედიან: ი. აბაშიძე (თავმჯდომარე), კ. გამსახურდია, დ. შენგელაია, კ. ლორთქიფანიძე, ს. კლდიაშვილი, ა. ბელიაშვილი, გ. ნატროშვილი, ა. გაწერელია, ლ. კალანდაძე, ვ. შადური, ვ. ზამბახიძე.

კომისიამ ვრცელი ღონისძიებანი დასახა.

ნოემბრის დამლევს თბილისში გაიმართება ლ. ნ. ტოლსტოის ხსოვნისადმი მიძღვნილი დიდი საიუბილეო საღამო. (საქდესი).

ბუქარესტში გვირგვინებით შეამკეს ძეგლები

ბუქარესტი, 18 ივნისი. საქდესის სპეციალური კორესპონდენტი დ. ბოჩაროვი გადმოგვცემს:

დღეს დღის მეორე ნახევარში სკკპ დელეგაციამ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით, რომელიც ჩამოვიდა რუმინეთის მუშათა პარტიის III ყრილობაზე, გვირგვინით შეამკო რუმინეთის არმიის იმ გმირი მეომრების ძეგლის კვარცხლბეკი, რომლებიც დაეცნენ ფაშისტური მონობისაგან თავიანთი სამშობლოს განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. შემდეგ გვირგვინებით შეამკეს საბჭოთა მეომრების ძეგლი, რომლებიც დაეცნენ მოძმე რუმინელი ხალხის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში.

გვირგვინებით შემკობის ცერემონიას დაესწრნენ რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გ. გეორგიუ-დეჟი, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე კივუ სტოიკა, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი ეროვნული კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარე ი. გ. მაურერი და რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელები, რუმინეთის შეიარაღებული ძალების გენერლები და ოფიცრები, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, ბუქარესტში საბჭოთა საელჩოს თანამშრომლები.

ეიზენჰაუერი ტაივანზე ჩავიდა

ნიუ-იორკი, 18 ივნისი. (საქდესი). როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეიშენლის სააგენტოს კორესპონდენტი ტაიბეიდან გადმოგვცემს, დღეს ტაივანზე ჩავიდა პრეზიდენტი ეიზენჰაუერი, რომელიც მოგზაურობს შორეულ აღმოსავლეთში ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ბაზებში.

ისინი ამკვიდრებენ ახალს

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის შესახვედრად

ᲐᲠᲘᲐᲜ ადამიანები, რომლებიც არასოდეს არ სჯერდებიან მიღწეულს, მუდამ ახლისკენ მიისწრაფვიან. მათთვის ცხოვრება წარმოადგენს უსასრულო ჯაჭვს, რომლის ყოველი რგოლი საინტერესო ამოცანაა. ერთ მათგანს რომ ამოხსნიან, წინ ახალი რგოლი გამოჩნდება, და კვლავ იწყება იერიში, ძიება, შრომა ცხოვრებაში ახლის დამკვიდრებისათვის.

ასეთ მოუსვენარ ადამიანებს ეკუთვნიან რაციონალიზატორები და გამომგონებლები, რომლებიც ფაბრიკებსა და ქარხნებში, მაღაროებსა და შახტებში დღითიდღე წინ სწევენ ტექნიკას, ზრდიან შრომის ნაყოფიერებას, აახლოებენ შვიდწლედის გამარჯვებას. ამ წერილში ზოგიერთ მათგანზე გვინდა მოგითხროთ.

* * *

ᲒᲘᲜᲐᲮᲐᲕᲗ თამბაქოს ფაბრიკა? ყოფილხართ მის საამქროებში?

თუ გინახავთ, გეცოდინებათ, რომ პაპიროსისა და სიგარეტის დამზადება თითქმის მთლიანად მექანიზებულია. ავტომატურად ხდება ქაღალდის დაჭრა, პილზების გაკეთება, თამბაქოთი დატენვა, მზა პროდუქციის კოლოფებში ჩაწყობა. ამიტომ ვინმეს შეიძლება გაუკვირდეს კიდეც, აქ რიღას გაკეთება შეუძლია რაციონალიზატორსო.

მაგრამ ასე როდია. თვითეულ ცალ პაპიროსში, რომლის ფასი რამდენიმე კაპიკია, თურმე მილიონები იმალება. საჭიროა მხოლოდ მათი მიგნება.

თუ პაპიროსი გაგიტეხიათ, შეამჩნევდით, რომ იქ, სადაც თამბაქო თავდება, პილზის მუნდშტუკის შიგნით პატარა კბილანებია. ეს კბილანები საჭიროა იმისათვის, რომ თამბაქო მუნდშტუკში არ ჩაცვივდეს. ამ რამდენიმე წლის წინათ საპილზე მანქანები კბილანებს მუნდშტუკის ბოლოდან ერთი-ორი მილიმეტრის დაშორებით აკეთებდნენ. მუნდშტუკის ცარიელი ადგილი თამბაქოთი ივსებოდა.

ევგენი სოლომკო

ამ ამბავმა დააინტერესა თბილისის თამბაქოს პირველი ფაბრიკის მექანიკოსი ევგენი სოლომკო.

— მუნდშტუკში ჩასული თამბაქო მწეველს არ სჭირდება, დაკარგულია, — ფიქრობდა იგი, — რა იქნება, რომ მოვსპოთ ეს დანაკარგი?

ერთი შეხედვით თითქოს მაინცდამაინც არაფერი იყო საინტერესო — თვითეულ პაპიროსზე სულ რამდენიმე მილიგრამი თამბაქო იკარგებოდა. მაგრამ როდესაც გამომგონებელმა დანაკარგი მილიონობით პაპიროსზე გადაიანგარიშა, მილიგრამები ათეულ და ასეულ ტონებად იქცნენ.

— ეს ხომ დაკარგული მილიონებია, — ფიქრობდა სოლომკო, და ეძებდა გამოსავალს, ხაზავდა, აკეთებდა და იწუნებდა ახალ და ახალ პროდუქტებს. ზოგჯერ ხელიც ჩაუქნევია — არაფერი გამოვაო, მაგრამ შემდეგ კვლავ დაბრუნებია საქმეს. გამომგონებლის ალღომ მიაგნო იმას, რასაც ეძებდა. სოლომკომ შექმნა ორიგინალური მოწყობილობა საპილზე მანქანებზე სამუნდშტუკე ლენტის კბილანების გასაკეთებლად. ეს მოწყობილობა პილზში კბილანებს აკეთებდა მუნდშტუკის სულ ბოლოს, აღარ იკარგებოდა არცერთი ნამცეცი თამბაქო.

სოლომკოს მოწყობილობა პირველად თბილისში დაინერგა, ხოლო შემდეგ მთელ საბჭოთა კავშირში გავრცელდა. შარშან ამ გამოგონების დანერგვის შედეგად მიღებულმა წლიურმა ეკონომიამ საბჭოთა კავშირის მასშტაბით 4 მილიონ მანეთს გადააჭარბა. წელს სოლომკომ ასეთივე ხელსაწყო დააყენა უკვე ახალ მანქანებზე. ეს წინადადება მარტო ჩვენი რესპუბლიკის თამბაქოს მრეწველობას დაახლოებით 250 ათას მანეთ წლიურ ეკონომიას მისცემს.

სოლომკოს 16 გამოგონება და ასამდე რაციონალიზატორული წინადადება ეკუთვნის. ძნელია, თითქმის შეუძლებელიც ცალცალკე დაახასიათო დაუღალავი გამომგონებლის მიერ შექმნილი ყველა სიახლე. მაგრამ აუცილებელია მოვიხსენიოთ ერთი, ამჟამად უკვე ორგანიზაციული სიახლე, რომელიც სოლომკოს უშუალო მონაწილეობით განხორციელდა.

საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა ფართო გაქანება ჰპოვა ჩვენი რესპუბლიკის ფაბრიკა-ქარხნებში კომუნისტური შრომის ბრიგადების მოძრაობამ. წლის დასაწყისში მეთამბაქოეებმა გადაწყვიტეს შეექმნათ რაციონალიზატორებისა და გამომგონებლების კომუნისტური შემოქმედების ბრიგადა. მალე ეს გადაწყვეტილება საქმედ იქცა. ბრიგადაში გაერთიანდნენ საწარმოს მოწინავე რაციონალიზატორები — ა. ჩაპაიოვი, უ. ხაფავა, მ. ნუცუბიძე, ვ. გორეცკი, გ. ლევაშოვი და ხელმძღვანელი ე. სოლომკო.

ბრიგადამ თავისი მუშაობა ააგო კომუნისტური შრომის კოლექტივების საერთო პრინციპზე — ყველა ერთისათვის და ერთი ყველასათვის. ვინც არ უნდა წამოაყენოს ახალი წინადადება, იგი ბრიგადის საერთო კუთვნილებად ითვლება. ისინი ერთად განიხილავენ ყოველ წინადადებას, საერთო ძალებით ამუშავებენ მას. ერთად შრომამ საუკეთესო შედეგი გამოიღო. ბრიგადის წევრებმა ვალდებულება იკისრეს ყოველ კვარტალში 20 წინადადება შეეტანათ. რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა რესპუბლიკური თათბირის გახსნის დღისათვის კი მათ უკვე შეასრულეს ორი კვარტალის ვალდებულება — შეიტანეს 40 წინადადება. უკვე დანერგილი წინადადებების ეკონომიური ეფექტი 700 ათას მანეთს აღემატება.

* * *

ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲔᲑᲘᲡ დოსტაქარი — ასე უწოდებენ მას მთელ კომბინატში. და მართლაც იშვიათად თუ ვინმეს დაუმსახურება ეს წოდება მეტად, ვიდრე ნიკოლოზ ივანაშვილს. ჯადო აქვს ხელში, მკვდარ მანქანას აამუშავებს, ახალ სულს ჩაუდგამსო. ჯადოსი რა მოგახსენოთ, მაგრამ ახლის ძიების ჯადოსნური ცეცხლით კი არის ანთებული ეს თმაშევერცხლილი, ტანმორჩილი კაცი.

ოცდაათი წელია ნიკოლოზი თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატში მუშაობს და თავისი ხუთი თითივით იცნობს მთელ კომბინატს, თვითეულ დაზგას და მანქანას, იცის მათი ავკარგი, მათი სატკივარი.

მას მუდამ აწუხებს ყოველი ნამდვილი გამომგონებლისათვის დამახასიათებელი ფიქრი — რა შეიძლება გაკეთდეს ახალი, რომელი მანქანა საჭიროებს გაუმჯობესებას. და ხშირად მთავარი მექანიკოსი მართლაც გასაოცარი გამბედაობით შეეჭიდება ხოლმე ისეთ საქმეს, რასაც სხვები უიმედოდ, განუხორციელებლად თვლიან.

ასე იყო, მაგალითად, ამ რამდენიმე წლის წინათ.

კომბინატის დირექტორის კაბინეტში შეკრებილიყვნენ ინჟინრები, ტექნიკოსები, მოწინავე მუშები და ცხარე კამათი ჰქონდათ.

საქმე ის იყო, რომ მატყლის საშრობი მანქანა ვეღარ აკმაყოფილებდა საწარმოს გაზრდილ მოთხოვნილებას. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ სახელმწიფო იზარალებდა მილიონობით მანეთს, მოსახლეობა ვერ მიიღებდა ათეულ ათასობით მეტრ ძვირფას შალის ქსოვილებს.

სწორედ ამ მდგომარეობიდან თავის დაღწევის გზების საძიებლად შეიკრიბნენ დირექტორთან საწარმოს მოწინავე ადამიანები. მაგრამ გამოსავალი თითქოს არ ჩანდა. გერმანული კონსტრუქციის საშრობი მანქანა საერთოდ გაბატონებული აზრით ტექნიკის უკანასკნელ სიტყვას წარმოადგენდა და მის გაუმჯობესებაზე ფიქრიც ზედმეტი იყო.

მაგრამ ასე არ ფიქრობდა ყველა. სწორედ აქ იჩინა თავი ივანაშვილის მაძიებელმა აზრმა. მან გადაწყვიტა მოკლე დროში გაეუმჯობესებინა მანქანის კონსტრუქცია, გაეზარდა მისი სიმძლავრე იმდენად, რომ მთლიანად დაეკმაყოფილებინა კომბინატის მოთხოვნილება. მასთან ერთად ამ საქმეს ხელი მოჰკიდეს სამღებრო-გამომყვანი წარმოების უფროსმა ვ. ჭანიშვილმა და მისმა მოადგილემ მ. ქაცარავამ. გამომგონებლებმა არა ერთი და ორი უძილო ღამე გაათიეს, მრავალი ვარიანტი დაამუშავეს, კიდევ უფრო მეტი დასაწყისშივე უარყვეს და ბოლოს მიაგნეს საუკეთესო გადაწყვეტას. მათ მთლიანად შეცვალეს მანქანის კალორიფერული სისტემა, დააყენეს ჰაერის ახალი მიმმართველები, გაზარდეს ჰაერის მიწოდება. ამ კონსტრუქციულმა ცვლილებებმა მანქანის სიმძლავრე თითქმის ორმოცი პროცენტით გაზარდა. გამომგონებელთა წინადადების განხორციელებამ საწარმოს წლიურად 600 ათასი მანეთი დაუზოგა. მაგრამ ეს ციფრი ზუსტი არ არის. თუ ვიანგარიშებთ იმას, რომ კომბინატმა ჩამორჩენა გამოასწორა და დავალება დიდი გადაჭარბებით შეასრულა, ამ წინადადების ეკონომიური ეფექტი მილიონობით მანეთს გადააჭარბებს.

ბევრი სიხარული განუცდია გამომგონებელს თავის მუშაობაში. ყოველი ახალი მიღწევა მისთვის ზეიმია. მაგრამ ამ სიხარულს ზოგჯერ სიმწარეც დაჰყვება. ასეთი ამბავი დაემართა ნ. ივანაშვილს თავის უკანასკნელ და ყველაზე მნიშვნელოვან გამოგონებაზე მუშაობისას.

პარტიის XXI ყრილობის შესახვედრად ჩვენს რესპუბლიკაში გამოცხადდა კონკურსი საუკეთესო გამოგონებასა და რაციონალიზატორულ წინადადებაზე. კონკურსში თავის თანამოსაქმეებთან — კომბინატის მთავარ ინჟინერ ს. ამაშუკელთან და უფროს კონსტრუქტორ ა. ბადალოვთან ერთად ივანაშვილიც ჩაება. მათ იკისრეს შეექმნათ ავტომატური საკარბონიზაციო დანადგარი — ბირკებისაგან მატყლის გასაწმენდი მანქანა.

საფეიქრო მრეწველობაში ჯერ არ არსებობს ბირკების საწმენდი სრულყოფილი მანქანა. როგორც წესი, ბირკებისაგან მატყლის გაწმენდა პრიმიტიულ დანადგარებზე ხორციელდება. ეს მეტად მძიმე შრომას მოითხოვს, ვინაიდან მომუშავეებს საქმე აქვთ ჯანმრთელობისათვის მავნე სიმჟავეებთან. მაგრამ ამის შემდეგაც მატყლი მთლიანად არ არის გასუფთავებული და საჭირო ხდება უკვე მზა ქსოვილიდან ბირკების მაშით ამოკრეფა, რაზეც მრავალი მუშა ცდება. ყველაზე სრულყოფილ დანადგარს ბელგიური მანქანა „შარპანტიე" წარმოადგენს. მაგრამ აქაც სამუშაოს დიდი ნაწილი ხელით სრულდება.

ივანაშვილმა და მისმა მეგობრებმა ბრწყინვალედ გაართვეს თავი რთულ ამოცანას — შექმნეს ბირკისაგან მატყლის გასაწმენდი რთული ავტომატური აგრეგატი, რომელიც 7 მანქანისაგან შედგება. გამოგონებამ საერთო აღიარება ჰპოვა, მან პირველი პრემია მიიღო გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა რესპუბლიკურ კონკურსში.

გახარებულმა გამომგონებლებმა დაიწყეს აგრეგატის აწყობა. მაგრამ სწორედ აქ შეხვდათ მოულოდნელი დაბრკოლება. უკვე მეორე წელია აგრეგატი კეთდება, მაგრამ დამთავრებას არაფერი ეშველა. ყველაფრის მიზეზი კი სულ ერთი ტონა უჟანგავი ფოლადის მავთულია, რომლის შოვნა დღემდე არ მოხერხდა.

რამდენიმე ათეული გამოგონება და გაუმჯობესება, რომელთა წლიური ეკონომიური ეფექტი თითქმის 2 მილიონ მანეთს აღწევს, — ასეთია ნიკოლოზ ივანაშვილის, როგორც გამომგონებლის შემოქმედებითი შრომის ბალანსი. ასეთი მაჩვენებლით ყველას შეუძლია იამაყოს, მაგრამ ივანაშვილი მიღწეულს არ სჯერდება. ყოველი ახალი დღე ახალ მოთხოვნებს აყენებსო, — ამბობს იგი და კვლავ გატაცებით ახმარს საყვარელ საქმეს თავის ნიჭსა და უშრეტ ჭაბუკურ ენერგიას.

სოლომკო, ივანაშვილი და მათი მეგობრები ერთეულები როდი არიან. მათ მხარდამხარ მიჰყვება რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა მრავალათასიანი არმია. ყოველი მათგანის მისწრაფება ერთია — თავისი შრომით, შემოქმედებით დააჩქარონ იერიში შვიდწლედის ზღუდეებზე.

ბარაქალა ამ დაუდეგარი ადამიანების მარჯვენას და მაძიებელ გონებას.

შ. ცირეკიძე,
ა. ხუშუა.

დაუდევრობა თუ კონსერვატიზმი?

ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚ წლებში მკვეთრად გაიზარდა პროგრესული საშენი მასალების — რკინაბეტონის კონსტრუქციებისა და დეტალების გამოყენება როგორც სამრეწველო, ისე სამოქალაქო მშენებლობის ყველა დარგში. ამ მასალების გამოყენება ბევრად ამცირებს დროისა და შრომის დანახარჯებს, იძლევა საშენი მასალების დიდ ეკონომიას.

ამ ბოლო დროს ჩვენს ქვეყანაში ფართო გამოყენება ჰპოვა ცენტრიფუგირებისა და ვიბრაციის მეთოდით დამზადებულმა სხვადასხვა კონსტრუქციის რკინაბეტონის საყრდენებმა, რომლებსაც საჰაერო ელექტროგადაცემის ხაზების მშენებლობაზე იყენებენ. ლითონისა და ხის ბოძების რკინაბეტონის საყრდენებით შეცვლა დიდ ეკონომიურ ეფექტს იძლევა. ისინი გაცილებით მეტ ხანს ძლებენ, არ საჭიროებენ შეღებვას და შეკეთებას.

მართალია, ხის ბოძები დაახლოებით 15 პროცენტით იაფია რკინაბეტონის საყრდენებთან შედარებით, მაგრამ სამაგიეროდ რკინაბეტონის საყრდენების გამოყენების ვადა გაცილებით უფრო ხანგრძლივია და გადახარჯვა 3-5 წლის განმავლობაში მთლიანად იფარება, გარდა ამისა, ხის ბოძების რკინაბეტონის საყრდენებით შეცვლა საშუალებას იძლევა დიდი რაოდენობით დავზოგოთ დეფიციტური ხის მასალა.

საჰაერო ხაზების მშენებლობაზე რკინაბეტონის საყრდენების გამოყენება პირველად ჩვენს ქვეყანაში განახორციელა თბილისის ჰიდროტექნიკისა და ნაგებობათა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის კოლექტივმა. ინსტიტუტის ცენტრიდანულ ლაბორატორიაში კონსტრუირებულ იქნა სხვადასხვა ტიპის ასაწყობი საყრდენები ცენტრიფუგირებული რკინაბეტონისაგან და დამუშავდა მათი დამზადების ტექნოლოგია და საქარხნო მოწყობილობა.

ამჟამად სსრ კავშირში მუშაობს ათობით სპეციალიზებული ქარხანა და საამქრო, სადაც მზადდება საჰაერო ხაზების რკინაბეტონის საყრდენები. მათ შორის ათი საწარმო ამზადებს ჩვენი ინსტიტუტის მიერ დამუშავებულ ცენტროფუგირებული რკინაბეტონის საყრდენებს.

ამჟამად ჩვენს ქვეყანაში რკინაბეტონის საყრდენები გამოყენებულია სხვადასხვა დანიშნულების საჰაერო ხაზებზე, რომელთა სიგრძე ათეულ ათასობით კილომეტრია.

საქართველოში ასეთი საყრდენები დგას დაახლოებით 500 კილომეტრის სიგრძის ხაზებზე. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს რესპუბლიკაში რკინაბეტონის საყრდენებმა ჯერ კიდევ ვერ ჰპოვა სათანადო გამოყენება. საქართველოში ამჟამად მუშაობს მხოლოდ ერთი პატარა საამქრო ქალაქ ზუგდიდში, რომელიც ამზადებს საყრდენებს ტრესტ „საქართველოს ჩაის" საჭიროებებისათვის. რასაკვირველია, ეს საამქრო ვერ დააკმაყოფილებს რესპუბლიკის მოთხოვნილებას. ამიტომ დღემდე ჩვენთან კვლავ დიდი რაოდენობით იდგმება ლითონისა და ხის საყრდენები.

უკანასკნელ ხანებში ლითონის საყრდენები ნათურებისათვის და დაბალვოლტიან საჰაერო ხაზებზე დაიდგა ქალაქ თბილისში ლენინის, პავლოვის, მელიქიშვილის, ჭავჭავაძის ქუჩებზე, საქართველოს სამხედრო გზატკეცილზე და სხვ. ხის საყრდენები გამოყენებულია საბურთალოში; შაუმიანის ქუჩაზე და სხვა უბნებში. გამოყენებულია რკინაბეტონის საყრდენებიც, მაგრამ ძალიან მცირე რაოდენობით.

ჰიდროტექნიკისა და ნაგებობათა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტს მიაჩნია, რომ დედაქალაქის ქუჩებში ხის საყრდენების დადგმა მიზანშეუწონელია. რაც შეეხება ლითონის საყრდენებს, რომლებსაც მათი სათანადო გაფორმებისას საკმაოდ ლამაზი შესახედაობა აქვთ, ისინი შეიძლება გამოვიყენოთ მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში დედაქალაქის ცენტრალურ ქუჩებზე. სხვაგან ასეთი საყრდენების დადგმა მიზანშეუწონელია ორი მიზეზის გამო. ჯერ ერთი, ლითონის საყრდენები მოითხოვს პერიოდულ შეღებვას. მეორე, რაც მთავარია, ამგვარი საყრდენების გამოყენება იწვევს ლითონის დიდ ხარჯს. მაგალითად, უკანასკნელ ხანებში თბილისში დადგმული 680 ლითონის საყრდენის დამზადებაზე დაიხარჯა 460 ტონა ლითონი, მაშინ როცა ამავე ზომის ცენტროფუგირებული ბეტონის საყრდენებს სულ 30 ტონა, ესე იგი 15-ჯერ ნაკლები ლითონი დასჭირდებოდა.

საკითხის რადიკალურად გადაჭრისათვის აუცილებელია აშენდეს სპეციალიზებული ცენტრიდანული ქარხანა, რომელიც გამოუშვებს ცენტროფუგირებულ საყრდენებს მთელი რესპუბლიკისათვის. კარგი იქნება, თუ ეს ქარხანა დაამზადებს იმ ტიპის საყრდენებს, რომლებიც შემუშავებულია ჰიდროტექნიკისა და ნაგებობათა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მიერ [illegible] ფართო გამოყენება საჰაერო ხაზების მშენებლობებზე მთელ ჩვენს ქვეყანაში. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ტიპის საყრდენების გამოყენება რეკომენდებულია რკინაბეტონის საყრდენების დაპროექტების, მშენებლობის, წარმოებისა და ექსპლოატაციის საკავშირო სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენციის მიერ.

საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭომ გასულ წელს მიიღო გადაწყვეტილება ცენტრიდანული ქარხნის მშენებლობის შესახებ. პროექტის შედგენა დაევალა საქართველოს ქვების მრეწველობის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტს. პროექტის დამუშავება უნდა დამთავრებულიყო გასული წლის ოქტომბრისათვის, მაგრამ დღესაც დაწყებული არ არის.

ცნობილია, თუ რა დიდ ყურადღებას აქცევენ კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ტექნიკურ პროგრესს სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. სწორედ ამ საკითხს განიხილავს პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელიც მომავალ თვეში შედგება. ამიტომ აუცილებელია ფართო გზა დავუთმოთ რკინაბეტონის საყრდენებს, რაც წარმოადგენს ტექნიკურ სიახლეს საჰაერო ხაზების მშენებლობის დარგში.

ვ. კალანდაძე,
ინჟინერი.

„კომუნისტის" სიგნალის შემდეგ

„რატომ არ არის შესასხურებელი აპარატები?"

ამ სათაურით ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა კრიტიკული წერილი, რომელშიც ლაპარაკი იყო მევენახეთა მეტად საჭირბოროტო საკითხზე — შესასხურებელი მანქანების ნაკლებობაზე. ამ წერილთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროდან რედაქციას შეატყობინეს შემდეგი:

გაზეთ „კომუნისტის" 24 მაისის ნომერში მოთავსებულ წერილის — „რატომ არ არის შესასხურებელი აპარატები?" შესახებ გაცნობებთ, რომ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ 1960 წლისათვის წარდგენილი იყო დაკვეთა 15.000 ცალ სასხურებელ ტრემასის მარკის აპარატზე, მაგრამ რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომისიამ სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების ქარხანას დაუმტკიცა გეგმა მხოლოდ 8.000 ცალზე, აქედან ყოველ კვარტალში 2.000 ცალი. ამრიგად, მუშაობის სეზონისათვის (ივლისამდე) ქარხანას უნდა მოეცა სულ 4.000-5.000 ცალი, რაც ვერ უზრუნველყოფდა მოთხოვნილებას.

აღნიშნული წერილი სპეციალურად განიხილა თათბირმა, რომელიც მოწვეულ იქნა ამას წინათ. თათბირს დაესწრნენ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიისა და სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების ქარხნის წარმომადგენლები.

თათბირის მიერ დასახულ ღონისძიებათა შედეგად ქარხანამ დააჩქარა აპარატების გამოშვება სამცვლიან მუშაობაზე გადასვლით და მას შეუძლია უზრუნველყოს გეგმით გათვალისწინებული აპარატების გამოშვება მიმდინარე წლის სეზონისათვის. ამჟამად უკვე მიღებულია და რაიონებში შეტანილია 6.000 ცალი, ხოლო ივლისის პირველ ნახევრამდე ქარხანა გამოუშვებს 2.000 ცალს, რაც აგრეთვე გაიგზავნება რაიონებში.

ვ. მირიანაშვილი,
საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე.

ინტერნატების მშენებლობა — სახალხო საქმე

მშენებლობა... კუს ნაბიჯით

ᲕᲘᲡᲐᲪ კასპიდან მეტეხისაკენ მატარებლით ან ავტომანქანით უმგზავრია, მის ყურადღებას მიიქცევდა ქალაქის დასავლეთით გაშლილი მშენებლობანი. აი ის კედლებდაუმთავრებელი შენობები რომ მოჩანს, მომავალი სკოლა-ინტერნატის კორპუსებია. იქით ახლად შექმნილი ელექტროაპარატურის ქარხნისათვის მიმდინარეობს სატრაქტორო სადგურის ძველი შენობების რეკონსტრუქცია და ახალი საამქროების მშენებლობა. მის გვერდით ავტოსატრანსპორტო კანტორა შენდება, აქეთ — ელექტროაპარატურის ქარხნის მუშათა საცხოვრებელი სახლი.

ამ ობიექტების მშენებლობას აწარმოებს საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს მეორე ტრესტის სურსათმშენმონტაჟის კასპის სამშენებლო უბანი (უფროსი ს. დუმბაძე, უფროსი სამუშაოთა მწარმოებელი ვ. ფერაძე). ამ სამშენებლო უბნის ძველი ხელმძღვანელები სამუშაოთა ჩამორჩენისათვის წლის დასაწყისში გაათავისუფლეს. ამხ. დუმბაძე და ფერაძე ცუდი სპეციალისტები არ არიან, მაგრამ საქმე არც მათი მოსვლის შემდეგ მიდის წინ, რადგან № 2 ტრესტს (მმართველი ვ. ჭურაძე) არ გაუუმჯობესებია სამშენებლო უბნის მომარაგება საშენი მასალებით, რაც იწვევს სამუშაოთა შეფერხებებს, ტექნიკის მოცდენას, შესრულებული სამუშაოს ხარისხის გაუარესებას. საგანგაშო მდგომარეობაა სკოლა-ინტერნატის მშენებლობაზე, რომლის დამთავრება გათვალისწინებულია ახალი სასწავლო წლისათვის.

მშენებლობას დიდად აფერხებს ის, რომ სართულთაშუა გადახურვისათვის დროულად ვერ იღებენ ასაწყობ რკინა-ბეტონის ფილებს. ამ მიზეზით ერთ თვეზე მეტ ხანს იყო შეჩერებული სკოლა-ინტერნატის სასწავლო და საძინებელი კორპუსების კედლის მშენებლობა. შემდეგ ფილები მიიღეს, მაგრამ მათ დასაწყობად ამწე არ იყო. როგორც იქნა, მშენებლობაზე ავტოამწეც მოვიდა, მიღებული ფილები დააწყო, მაგრამ შემდეგ მთელ ორ დღეს — 14, 15 ივნისს მანქანა უქმად იდგა, რადგან ფილები აღარ იყო.

სკოლა-ინტერნატის მშენებლობას ხელს უშლის ხეტყის მასალის უქონლობაც. მიმდინარე წლის ხუთ თვეში სამშენებლო უბანს სკოლა-ინტერნატის მშენებლობაზე ათვისებული აქვს 707 ათასი მანეთი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1 მილიონ 40 ათასი მანეთისა.

სამშენებლო უბანში დაბალ დონეზეა შრომის ორგანიზაცია, სამუშაოთა მექანიზაცია, არ ჰყოფნით ტექნიკა, რაც აქვთ, როგორც ვთქვით, იმასაც სრული დატვირთვით ვერ იყენებენ. სკოლა-ინტერნატის მშენებლობის სამუშაოთა მწარმოებელი თ. მაჭავარიანი არ იცნობს ყოველდღიური სამუშაოების მიმდინარეობას. ზოგჯერ მუშას შესასრულებელი სამუშაოს განრიგი არ ეძლევა, სუსტია კონტროლი. იყო ასეთი ფაქტიც: სასადილოს შენობის მშენებლობისათვის ბეტონს ხელით ურევდა ოთხი კაცი, მაშინ როცა ბეტონსარევი სამ დღეს უქმად იდგა სასწავლო კორპუსის მშენებლობასთან. უბნის უფროსმა ს. დუმბაძემ ამის გამართლება იმით სცადა, რომ ბოძების უქონლობის გამო ელექტროხაზი ყველგან ვერ მიიყვანეს და ბეტონსარევი ვერ აამუშავეს. არის შრომის დისციპლინის დარღვევის შემთხვევებიც. მეარმატურე ა. ბურდულმა ორ დღეს უმიზეზოდ გააცდინა სამუშაო.

კასპის სამშენებლო უბნის მუშაობაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებებს №2 ტრესტის ხელმძღვანელი მუშაკები იოლად ურიგდებიან.

სამშენებლო უბნის ჩამორჩენის მიზეზებზე რომ ვლაპარაკობთ, უნდა ვუსაყვედუროთ პარტიის კასპის რაიკომსაც, რომელიც ითმენს მშენებელთა შორის სააგიტაციო-მასობრივი მუშაობის ჩაშლას. მშენებლობაზე იმდენი კომუნისტი და კომკავშირელია, რომ შეიძლება პირველადი პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების შექმნა, მაგრამ ეს ჯერ არავის გახსენებია.

თუ მუშაობა ასე, კუს ნაბიჯით გაგრძელდა, სკოლა-ინტერნატის მშენებლობა ახალი სასწავლო წლისათვის ვერ დამთავრდება. დაუჯერებელია, რომ ეს არ იცოდნენ საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროში. რით ღუმან, რატომ ზომებს არ იღებენ?!

მ. ხეთაგური,
„კომუნისტის" საკ. კორ.

წლები და ადამიანები

გაჭირვების ტალკვესი



ნოე დარჩიაშვილი

ᲮᲐᲚᲮᲘ ამბობს: — სიჩუმეა? — ბავშვი იბადება.

...და იბადებოდა ისიც.

აი იმ ქოხში, ციცინათელასავით რომ ბჟუტავს მხრჩოლავი ჭრაქი და ბუხარში უკანასკნელი მუგუზალი რომ გიზგიზებს, ქალი ოფლში იხვითქება, გარეთ კი ჰყინავს და სიცივისგან ყველაფერი ითოშება. ადამიანების ლანდები მდუმარედ დგანან, დგანან თავდახრილნი და მოთმინებით ელიან ადამიანის დაბადებას.

დაიბადა...

იქუხა თოფმა, სოფელს ამცნო, გიორგის ვაჟი შეეძინაო!

მამას გაბრწყინებული თვალები ჰქონდა. მის ქოხში ბედნიერება იბადებოდა. გიორგიმ ჭრიალა ტახტის გვერდით დაიჩოქა და ჩვილ ბავშვს ღიმილით დააცქერდა.

ერთი დაიბადა, მეორე კი მათ ხელიდან ეცლება, სულს ღაფავს, სიკვდილი დაძრწოდა გიორგის ქოხში.

— ექიმი, ექიმი! — ელდანაცემივით დაიძახა ბებია ქალმა, მაგრამ მის ხმაში უიმედო ძახილი იყო. მთელ მაზრაში ერთი ექიმია, ისიც სიღნაღში. სოფელ ანაგიდან ხევზე ასვლას დიდი დრო სჭირდება. მაშ რა ქნან, ახალგაზრდა ქალი სიკვდილს გაატანონ?.. გარინდებულიყვნენ და გონს ვერ მოსულიყვნენ. გიორგის ცოლი უკვდება? მაშინ ბარემ ცეცხლი წაუკიდონ მის სახლ-კარს.

— რას გაჩუმებულხართ, უბედურება ხომ არ ტრიალებს ჩემს ოჯახში!

— სიღნაღში... სწრაფად... ექიმი!

— ღმერთო ჩემო, ბავშვი ცივდება! — წამოიკვნესა ჭაღარა დედაკაცმა. გაოგნებულმა გიორგიმ თავზე ხელები იტაცა, გარეთ გავარდა და ცხენს მოაფრინდა.

— მოიცა, სად გარბიხარ! — უთხრა მოხუცმა ქალმა. — შენ ჩამოსვლამდე არც ერთი დაგხვდება, არც მეორე. სიღნაღიდან ექიმის ჩამოყვანამდე სამჯერ იყივლებენ მამლები. სჯობს ნოესთან მიხვიდე, ექიმს როდი ჩამოუვარდება.

— ღვთისნიერი დედაკაცი ხარ. კარგად გაიხსენე, — თქვეს ქალებმა, და სანამ კიდევ რამეს იტყოდნენ, გიორგი აღარ ჩანდა.

ცხენი ძლივს მიდიოდა გაუკვალავ თოვლში. შუაღამე გადასული იყო.

— ნოე, ჰა, ჰაი ნოე!

— ნოე, გეძახიან. გახედე, ალბათ უჭირთ უბედურებს, — ჩურჩულით თქვა მეუღლემ და ახლადჩაძინებული ქმარი გააღვიძა. ნოე სწრაფად წამოდგა.

— შენი ჭირიმე ნოე, გადამირჩინე ცოლ-შვილი. აჰა ცხენი! მე ფეხით მოგყვები...

ნოე მთელი ღამე არ მოსცილებია დედასა და შვილს, იგი სიკვდილს შეებრძოლა. ახალგაზრდა, მაგრამ საკმაოდ გამოცდილი აფთიაქარია. შეებრძოლა და გაიმარჯვა კიდეც, წართმეული ღიმილი დაუბრუნდა გიორგის.

გაჭირვების ტალკვესიაო, ნოეზე ამბობენ ანაგელები, ბოდბელები, ჯუგაანელები, კარდანახლები... ვინ მოსთვლის, ნოეს რამდენი სიკეთე დაუთესია. კაკაბეთლები ახლაც არ ივიწყებენ ამაგდარ აფთიაქარს. ნოეს სახელი შორს არის გავარდნილი. ხალხმა მას სახალხო მკურნალი შეარქვა.

ნოე დარჩიაშვილმა ფარმაცევტული სკოლა დაამთავრა, მაგრამ ცხოვრების პრაქტიკამ იგი საკმაოდ დაასტატა მკურნალობის საქმეშიც.

ჭაბუკობიდანვე იგი ამაზე ოცნებობდა, ადამიანმა დიდხანს უნდა იცოცხლოს, თავისი წუთისოფელი ბედნიერად გაატაროსო, და აუსრულდა ნოეს ნატვრა. შვილებსაც ამას ეუბნებოდა. ორი შვილი ექიმია, თავისი საქმის საუკეთესო მცოდნე, ხოლო მესამე თავის პროფესიაში დაოსტატდა. მან ფარმაკოლოგიის უმაღლესი სასწავლებელი დაამთავრა და იგი ახლა ანაგაში კეთილმოწყობილ აფთიაქს ხელმძღვანელობს. ნოე კი მეზობელ სოფელს ვაქირს ემსახურება.

ყოველ დილას ნოე ანაგიდან ვაქირში დადის.

— დილა მშვიდობისა!

— ღმერთმა მშვიდობა მოგცეს! — მოხუცები თავს დახრიან, ქუდს მოიხდიან და სიყვარულით გააყოლებენ თვალს ადამიანს, — რომელმაც ნახევარი საუკუნე მათი ჯანმრთელობის დაცვას შეალია. ნოეს ყველა თავაზიანად ხვდება, ყველა ცდილობს გამოესაუბროს, მოისმინოს მისი ტკბილი და საამური ლაპარაკი. ნოესაც უხარია: ეს ჩემთვის ყველაზე ძვირფასი საჩუქარიაო.

ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲘ ნოეს ნაცნობმა თვალებმა გაახსენა. ეს იყო გიორგის თვალები, ნოეს ასე მშვიდად რომ შესცქეროდნენ. კარგად ახსოვს მისი აღრინდელი მზერა. მაშინ გიორგის თვალები მიმქრალიყვნენ, მილეულიყვნენ, საოცრად ჩაშავებულიყვნენ, შუბლის ძარღვები დაჰბეროდა, გაფითრებული და დამშრალი ტუჩები უთრთოლავდა და შველას ითხოვდა...

დიდი დრო გავიდა. გიორგი მაშინ ჭაბუკი იყო და მოხუცის თვალები კი ჰქონდა, ახლა მოხუცებულია და თვალები გაბრწყინებია, გაახალგაზრდავებია, ბედნიერი ღიმილით იცქირებიან. რა საოცრად შეცვლილა გიორგიო, ფიქრობდა ნოე.

— შენი ჭირიმე, ნოე! — დაიძახა გიორგიმ და ისე ჩაიხუტა მკერდში, თითქოს დაკარგული ძმა იპოვნაო. სიამით უმზერდა მის ჭაღარას. გული ჩაეთუთქა — წარბებშიც სითეთრე შეპარვია, დაქანცულა და დაღლილაო. თუმცა როგორ არ გაჭაღარავდებოდა ნოე! რამდენი უბედურების მოწმე. როცა ადამიანი სულს ღაფავდა, მას გული ეთუთქებოდა, რომ აფთიაქში წამალი არ იყო. ბევრჯერ წასულა თბილისში და ჩამოუტანია... ახლა ჩიტის რძეც მოიძებნება ნოეს აფთიაქშიო, სიხარულით ამბობენ კოლმეურნეები.

— შვილები როგორა გყავს, როგორ არის შენი მეუღლე?

— უფროსმა ვაჟმა, შენ რომ გადამირჩინე, უმაღლესი დაამთავრა, ახლა დიდ საქმეს ემსახურება, დანარჩენებიც კარგად არიან... ორსართულიანი ქვიტკირის სახლი ავიშენე. ეგრე უნდა? ერთხელ არ შემოგივლია, ჭერი არ დაგილოცავს. გახსოვს, ნოე, ჩემი მეორე შვილი ტიფისაგან რომ იხსენი? ჰოდა, ახლა მისი ბედნიერების დღეა.

ტიფის ხსენებამ ბევრი რამ გაახსენა ნოეს და ჩაფიქრდა...

— რას ჩაფიქრდი, შენი ჭირიმე, ქორწილი გვაქვს, გეპატიჟებით.

— კარგი, გიორგი. მოვალ...

— შენი ჭირიმე, ჩვენო გაჭირვების ტალკვესო, — გადაეხვია გიორგი. შემდეგ შინ გახარებული დაბრუნდა. ჯალაბობას ახარა, ნოე დაგვთანხმდა, შვილის ქორწილში თავკაცი იქნებაო...

გ. ხეჩუაშვილი.

აგიტატორთა სკოლები

აგიტატორთა იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისა და მეთოდური დახელოვნების მიზნით მენჯის მარქსის სახელობის, ნოსირის ლენინის სახელობის, თეკლათის კალინინის სახელობის კოლმეურნეობების და ძველი სენაკის მეღორეობის სანაშენე საბჭოთა მეურნეობის პარტიულ ორგანიზაციებთან შეიქმნა აგიტატორთა ოთხთვიანი სკოლები.

ამ სკოლებში ლექციები იკითხება სსრ კავშირის საშინაო და საგარეო მდგომარეობის საკითხებზე, პარტიისა და მთავრობის უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებებზე, სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და სააგიტაციო-მასობრივი მუშაობის მეთოდიკის ცალკეულ საკითხებზე. აგიტატორები აგრეთვე სწავლობენ მსოფლიოს პოლიტიკურ და ეკონომიურ რუკებს. ეწყობა ექსკურსიები მოწინავე საზოგადოებრივ მეურნეობებში, წარმოებს მოწინავე აგიტატორთა გამოცდილების გაზიარება.

ს. კუჭავა.

სასიხარულო ცნობები

ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲠᲘ. (საკ. კორ.). სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ათასობით კოლმეურნე, საწარმოთა და მშენებლობათა მუშა მონაწილეობს კომუნისტური შრომისათვის გაჩაღებულ საერთო-სახალხო მოძრაობაში. ყოველდღე ახალ სასიხარულო ცნობები მოდის საკოლმეურნეო მინდვრებიდან, საწარმოებიდან და მშენებლობებიდან შვიდწლედის მეორე წლის დავალებათა პირნათლად განაღდების შესახებ.

ამას წინათ სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს აღმასკომის სხდომათა დარბაზში სოციალისტური შეჯიბრების ხუთასამდე მოწინავე შეიკრიბა. კომუნისტური შრომის ბრიგადებისა და დამკვრელების შეჯიბრების მოწინავეთა სრულიად საკავშირო თათბირის შედეგების შესახებ მოხსენება გააკეთა პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. კ. ჯიოევმა. სიტყვები წარმოთქვეს სტალინირის რაიონის სოფელ ერედვის კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელმა ნ. ბეროშვილმა, სოფელ კეხვის საკოლმეურნეო კომკავშირული ორგანიზაციის მდივანმა გ. კახნიაშვილმა, ქვაისის ტყვია-თუთიის საბადოს გამამდიდრებელი ფაბრიკის ცვლის უფროსმა საკავშირო თათბირის მონაწილემ ა. სიუკაევმა, ლენინგორის რაიონის სოფელ ორჭოსანის ახალგაზრდობის კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელმა გ. ელოევმა და სხვებმა.

გულს ახარებს

ᲡᲝᲤᲔᲚ მამათის კოლმეურნეობა ლანჩხუთის რაიონში განთქმულია „მწვანე ოქროს" უხვი მოსავლით. აქედან მიღებული შემოსავლით შეძლებულად ცხოვრობენ მამათელები.

სოფლის ცენტრი პატარა ქალაქს მოგვაგონებს. კოლმეურნეობის კანტორის დიდებული შენობა, საუკეთესო ორსართულიანი საშუალო სკოლა, ჩაის ფაბრიკა, სოფლის მაღაზიები და სხვა დაწესებულებები — აი რა მისცა მამათელებს საკოლმეურნეო წყობილებამ, ჩაის მძლავრმა მეურნეობამ.

მამათელმა კოლმეურნეებმა მიმდინარე წლის სეზონში ერთი მილიონი კილოგრამი ჩაის ფოთოლი უნდა მოკრიფონ. აქ საშუალოდ დღეში 20 ტონამდე ფოთოლს კრეფენ.

„ტალახას" ტერიტორიაზე გაშენებული ჩაის უხვმოსავლიანი პლანტაციები გულს ახარებს. განსაკუთრებით მოსაწონია კომუნისტური შრომის ბრიგადის (ხელმძღვანელი კ. სალუქვაძე) ჩაის პლანტაციები. აქ ჩაის კულტურა უკეთესად არის დამუშავებული, ვიდრე სხვა ნაკვეთებზე.

კომუნისტური შრომის ბრიგადა 32 ჰექტარ ჩაის პლანტაციას უვლის. ყველგან მოწყობილია თავშესაფარი ფარდული. კოლმეურნეები უზრუნველყოფილი არიან საწვიმრებით, ჩაის საკრეფი ხელსაწყოებით, მოკრეფილი ფოთოლი შეუფერხებლად გააქვთ პლანტაციიდან.

ამ სახელოვანი ბრიგადის ყველა წევრს ერთნაირად ახარებს, რომ მა სის დავალება სასახ ლოდ გაანაღდეს. ვალდებულებით ნაკისრი 4 ტონის ნაცვლად 50 ტონა ფოთოლი მოკრიფეს.

ბრიგადაში პირველობას არავის უთმობს ცნობილი მეჩაიე შურა ჩხაიძე. მოსავლელად მიჩენილ 0,5 ჰექტარზე მოკრეფილი აქვს 2.00 კილოგრამზე მეტი ჩაის ფოთოლი. სეზონში კი ტონა ჩაისათვის იბრძვის. მისმა „მეტოქემ" გოგუ ჩხაიძემ მაისში მოკრიფა 1.600 კილოგრამი ჩაი წარჩინებული მკრეფავები ნათელა და ანა ჩხაიძეები ყოველდღიურად 90-100 კილოგრამ ჩაის ფოთოლს აბარებენ წარმოებას. (საკ. კორ.).

საერთაშორისო ცხოვრება

დეპეშები, ცნობები, მიმოხილვა

გმირო კუბელო ხალხო, კეთილად გევლოთ ახალ გზაზე!

*

იაპონელი ხალხი მოითხოვს: ძირს კისის ანტიხალხური კაბინეტი!

*

ბონში აღიარეს „მძიმე დარტყმა დასავლეთის პოლიტიკისადმი"

*

მოსყიდული ბანდიტები თავს დაესხნენ კავაკამის

ეიზენჰაუერი ტაივანზე

ნიუ-იორკი, 18 ივნისი. (საკდესი). დღეს ამერიკის მე-7 ფლოტის ფლაგმანმა კრეისერმა „სენტ-პოლმა" ღუზა დაუშვა ტაივანის სანაპიროზე. ვერტმფრენავმა კრეისერიდან ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი გადაიყვანა სუნშანის სამხედრო-საჰაერო ბაზაში, სადაც გამართა ამერიკის პრეზიდენტის შეხვედრის ცერემონია.

თავის სიტყვაში აეროდრომზე ეიზენჰაუერმა დაარწმუნა ჩან კაი-ში „ამერიკის შეერთებული შტატების შეურყეველ სოლიდარობაში" და გაიმეორა თავისი ძველებური მონაჭორი „კომუნისტური საფრთხის" შესახებ".

შემდეგ ამერიკის სამხედრო მარშის ხმებში ეიზენჰაუერი გაემართა ტაიბეიში. უცხოეთის სააგენტოთა ცნობებით, ამერიკის პრეზიდენტის შესახვედრად მობილიზებული იყო პოლიციისა და არმიის მთელი პირველი შემადგენლობა. მიუხედავად ამისა, ტაიბეის ქუჩებში ეიზენჰაუერის ჩასვლის წინ გაჩნდა „მთავრობის საწინააღმდეგო ლოზუნგები".

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის მოგზაურობას ტაივანზე თან ახლავს დიდი სამხედრო ღონისძიებანი. როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება, ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის სამინისტრომ ტაივანზე პრეზიდენტ ეიზენჰაუერის ჩასვლასთან დაკავშირებით „წინასწარი განგაში" გამოაცხადა ამერიკის მე-7 ფლოტის იმ ხომალდებზე, რომელთა ბაზა წყნარი ოკეანის დასავლეთ ნაწილშია. ტაივანის სამხედრო სანაპიროზე კი დაიწყო ჩანკაიშელთა სამხედრო-საზღვაო ძალების მანევრები, რომლებშიც მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა ტიპის ასამდე სამხედრო ხომალდმა.

პრეზიდენტს იცავს ფლოტი

ნიუ-იორკი, 17 ივნისი. (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, პრეზიდენტ ეიზენჰაუერს, რომელიც გზაში იმყოფება ფილიპინებიდან ტაივანისაკენ, იცავს ამერიკის მეშვიდე ფლოტი, რომლის შემადგენლობაშია 125 ხომალდი და ხუთასი თვითმფრინავი, რომლებიც საპატრულო სამსახურს ეწევიან სამხრეთ ჩინეთის ზღვაში.

ბანდიტური გამოხდომა

ტოკიო, 17 ივნისი. (საკდესი). დღეს ტოკიოში პარლამენტის შესასვლელთან თავს დაესხნენ იაპონიის სოციალისტური პარტიის თვალსაჩინო მოღვაწეს კავაკამის. ბანდიტმა დანით დაჭრა კავაკამი.

კავაკამი თავდასხმის მომენტში ტოკიოს და სხვა ქალაქების მცხოვრებთაგან იღებდა პეტიციებს, რომლებიც შეიცავდნენ კისის მთავრობის გადადგომის, პარლამენტის დათხოვნისა და იაპონია-ამერიკის „უშიშროების ხელშეკრულების" ლიკვიდაციის მოთხოვნას.

ბონი შეშფოთებულია

ბონი, 17 ივნისი. (საკდესი). იაპონიაში ეიზენჰაუერის ვიზიტის გაუქმებამ, როგორც გადმოსცა დპა-ს სააგენტომ, ოფიციალურ ბონში „ძლიერი შეშფოთება" გამოიწვია. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მმართველი პარტიის — ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის წარმომადგენელმა ეს მოვლენა დაახასიათა როგორც „მძიმე დარტყმა დასავლეთის პოლიტიკისადმი".

როგორც დპა-ს სააგენტო შემდეგ აღნიშნავს, ბონის დიპლომატიურ წრეებს აშფოთებთ იაპონიის მთავრობის დამხობა და სიძნელენი ამერიკა-იაპონიის „უშიშროების ხელშეკრულების" განხორციელებაში. „ბონში აგრეთვე მიაჩნიათ, — იუწყება სააგენტო, — რომ ეს კრიზისი გავლენას მოახდენს წინასაარჩევნო ბრძოლაზე ამერიკის შეერთებულ შტატებში".

იძულებითი უკანდახევა

ამერიკის სენატმა გადადო იაპონიისათვის კაბალური ხელშეკრულების რატიფიკაცია

◆

ვაშინგტონი, 17 ივნისი. (საკდესი). იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის სააგენტო იმოწმებს კარგად ინფორმირებულ წრეებს და იუწყება, რომ სახელმწიფო დეპარტამენტი სენატის ლიდერებთან შეუპოვარი ვაჭრობის შემდეგ გუშინ გვიან საღამოს დათანხმდა გადადოს ამერიკა-იაპონიის ხელშეკრულების რატიფიკაცია მანამ, სანამ იგი რატიფიცირებულ არ იქნება იაპონიის მიერ, შეერთებული შტატების მმართველი წრეები ამრიგად იძულებული არიან აღიარონ, რომ შეერთებული შტატების პოლიტიკამ იაპონიაში პრეზიდენტ ეიზენჰაუერის ვიზიტის გაუქმების შედეგად გამანადგურებელი დამარცხება განიცადა. მართალია, ცდილობს რა დაფაროს ეს, სენატის უმრავლესობის ლიდერი ჯონსონი, იმავე სააგენტოს ცნობით, უარყოფდა, რომ სახელმწიფო დეპარტამენტმა სთხოვა სენატს გადადოს ხელშეკრულების რატიფიკაცია.

როგორც დღეს ხაზგასმით აღნიშნავს გაზეთი „ვაშინგტონ პოსტ ენდ ტაიმს ჰერალდი", ოფიციალურ ვაშინგტონში ახლა ნაღვლიანი ატმოსფეროა. გაზეთის მიმომხილველი კილპატრიკი აღნიშნავს, რომ „უმეტეს საჯარო და კერძო კომენტარებში გაისმის შეძრწუნებისა და ღრმა შეშფოთების გრძნობა ერთი თვის განმავლობაში ამერიკის პოლიტიკის მეორე დიდი დამარცხების გამო".

გაზეთის მეორე მიმომხილველი მარდიერი აცხადებს, რომ ტოკიოში ეიზენჰაუერის ვიზიტის იძულებითმა გაუქმებამ მძიმე დარტყმა მიაყენა შეერთებული შტატების პრესტიჟს მთელ მსოფლიოში, მათ დიპლომატიასა და პირადად პრეზიდენტ ეიზენჰაუერს". ახლა, განაგრძობს მარდიერი, „იქმნება შთაბეჭდილება, რომ ამ დარტყმამ შეერთებულ შტატებს მიაყენა უფრო ღრმა ჭრილობა, ვიდრე იმ მოვლენების შედეგებმა, რომლებიც დაკავშირებულია ჯაშუშურ „უ-2" თვითმფრინავთან, რომლებმაც გამოიწვიეს უმაღლესი დონის თათბირის ჩაშლა ამ ერთი თვის წინათ".

სარედაქციო სტატიაში „ვაშინგტონ პოსტ ენდ ტაიმს ჰერალდი" ცდილობს დაამშვიდოს აღშფოთებული ამერიკელები იმის შესახებ მსჯელობით, რომ ვითომ ეიზენჰაუერის ვიზიტის გაუქმებაში დამნაშავენი არიან მხოლოდ და მხოლოდ კომუნისტები და რომ თითქოს იაპონელი ხალხის უმრავლესობა მხარს უჭერს შეერთებული შტატების აგრესიულ პოლიტიკას. მაგრამ იგივე გაზეთი თავისი მიმომხილველის მარდიერის სიტყვით იძულებულია აღიაროს, რომ „იაპონელთა მკვეთრი ოპოზიცია პრეზიდენტის ვიზიტის მიმართ შესაძლებელი გახდა ერის ნამდვილად ნეიტრალისტურ და პაციფისტურ განწყობილებათა შედეგად".

კისი სინანულს გამოთქვამს

პარიზი, 17 ივნისი. (საკდესი). ფრანს პრესის სააგენტოს ტოკიოელი კორესპონდენტის ცნობით, იაპონიის პრემიერ-მინისტრმა ნობუსუკე კისიმ მიიწვია ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი მაკარტური, რათა მისთვის გამოეთქვა „თავისი სინანული პრეზიდენტ ეიზენჰაუერის ვიზიტის გარდუვალი გადადების გამო". კისიმ სთხოვა მაკარტურს გადასცეს პრეზიდენტ ეიზენჰაუერს მისი პირადი სინანული. შესაძლოა, რომ პრემიერ-მინისტრის კანცელარიის გენერალური მდივნის მოადგილე მაცუმოტო გაემგზავრება კუნძულ ოკინავაზე, სადაც კვირას უნდა შეხვდეს ეიზენჰაუერი, რათა გადასცეს მას კისის წერილი, რომელშიც იგი ბოდიშს იხდის.

ტოკიოში წითელი დროშების ზღვაა

ტოკიო, 17 ივნისი. საკდესის კორესპონდენტი გ. სკობლევი იუწყება: იაპონიის მთავრობა ხალხის მასების შეტევით იძულებული გახდა კაპიტულაცია მოეხდინა და გაეუქმებინა ამერიკის პრეზიდენტის ეიზენჰაუერის ვიზიტი. ასეთი ნაბიჯი რომ გადადგეს, მმართველი ბანაკის ლიდერებს გულში იმედი ჰქონდათ, რომ ამ ფასად შეძლებდნენ ჩაექროთ ხალხის აღშფოთების ცეცხლი და მშვიდობიანად დაემთავრებინათ იაპონია-ამერიკის უშიშროების ხელშეკრულების რატიფიკაციის სამარცხვინო კომედია, მაგრამ დღევანდელი დღის ამბებმა სულ ჩაუშალეს მათ ვარაუდები. ტოკიოს ქუჩები დღეს კვლავ დაფარა წითელი დროშების ზღვამ. ნაშუადღევს დემონსტრანტების კოლონები ყველა მხრიდან გაემართნენ პარლამენტის შენობისა და პრემიერ-მინისტრის რეზიდენციისაკენ. მათ თავზე ფრიალებდა ათასობით ლოზუნგი და პლაკატი, რომლებსაც ეწერა: „ჩვენ არ შემოვუშვით იაპონიაში აიკი. მაშ აღვკვეთოთ იაპონია-ამერიკის სამხედრო კავშირის მთელი სისტემა! ძირს კისის ანტიხალხური კაბინეტი!" დედაქალაქის პატრიოტთა დღევანდელ მსვლელობაში მონაწილეობა მიიღო რამდენიმე ათეულმა ათასმა კაცმა — ტოკიოს საწარმოთა მუშა-მოსამსახურეებმა, სტუდენტებმა, პროგრესული ინტელიგენციის წარმომადგენლებმა. მიტინგები და დემონსტრაციები გაიმართა აგრეთვე იაპონიის სხვა ქალაქებში.

ამავე დროს იაპონიის პროფკავშირთა გენერალურმა საბჭომ, უშიშროების ხელშეკრულების წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნულმა საბჭომ და იაპონელი ხალხის სხვა მასობრივმა ორგანიზაციებმა დღეს ულტიმატუმით მოსთხოვეს მთავრობას — დაუყოვნებლივ დაითხოვოს პარლამენტი და გადადგეს. პროფკავშირთა გენერალური საბჭო თავის განცხადებაში ხაზს უსვამს, რომ კისის კაბინეტის დაუყოვნებლივი გადადგომა და პარლამენტის დათხოვნა ერთადერთი საშუალებაა ახლანდელი პოლიტიკური კრიზისის გადასაჭრელად. წინააღმდეგ შემთხვევაში, აცხადებს გენერალური საბჭო, იაპონიის მუშათა კლასი 18 ივნისს ქალაქების ქუჩებში გამართავს საყოველთაო დემონსტრაციებს, ხოლო 22 ივნისს საყოველთაო გაფიცვას გამოაცხადებს.

კისის მთავრობამ, რომელიც შეაშფოთა უშიშროების ხელშეკრულების წინააღმდეგ გამოსვლებმა, დღეს ფეხზე დააყენა პოლიციის მთელი რეზერვები. პოლიციის განსაკუთრებით ძლიერი რაზმები ჯავშანმანქანებით თავმოყრილი იყო პარლამენტის გარშემო, სადაც როგორც იუწყებიან, დღეს ხალხისაგან [illegible] დღება უშიშროების ხელშეკრულების რატიფიკაციის სამარცხვინო ფარსის დასკვნითი აქტი. ე. ი. მა- [illegible] ვინც არ დაემორჩილება მის ნებას.

ისწრაფვის რა კანონიერი ხასიათი მისცეს პოლიციის რეპრესიების პოლიტიკას, მთავრობამ მარტო მმართველი პარტიის დეპუტატების ხმებით და დანარჩენი პარტიების წარმომადგენელთა არყოფნის დროს დღეს გაიყვანა პარლამენტში რეზოლუცია ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა (ძალადობად იგულისხმება ხალხის საპროტესტო გამოსვლები მთავრობის ანტიეროვნული პოლიტიკის წინააღმდეგ. — კორესპონდენტის შენიშვნა) და დემოკრატიის დაცვის შესახებ. ეს რეზოლუცია შეიცავს თავხედურ მტკიცებას, რომ შეერთებულ შტატებთან სამხედრო პაქტის წინააღმდეგ მებრძოლთა „კოლექტიური ძალადობრივი მოქმედება" „ხორციელდება უცხო სახელმწიფოს ანტიდემოკრატიული ძალების კარნახით" და რომ ეს მოქმედება წარმოადგენს „არა მარტო იაპონიის საშინაო საქმეს, არამედ შეიცავს სერიოზული საერთაშორისო კრიზისის გამოწვევის საფრთხეს".

„მსოფლიო არასოდეს არ იქნება წინანდებური"

საირუს იტონის განცხადება

ნიუ-იორკი, 17 ივნისი. (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება, თვალსაჩინო ამერიკელმა საზოგადო მოღვაწემ და ფინანსისტმა საირუს იტონმა, გამოვიდა რა პრეს-კონფერენციაზე ტორონტოში (კანადა), ხაზგასმით აღნიშნა, რომ პრეზიდენტ ეიზენჰაუერის ვიზიტის გაუქმება იაპონიაში არაპირდაპირი შედეგია იმ ინციდენტისა, რაც ჯაშუშურ „უ-2" თვითმფრინავს შეემთხვა. „უ-2" თვითმფრინავის ინციდენტის შემდეგ, — განაცხადა მან, — მსოფლიო არასოდეს არ იქნება წინანდებური".

„ყველა ის ქვეყანა, რომლებიც ახლა ნებას რთავენ განალაგონ ამერიკის ავიაბაზები თავიანთ მიწა-წყალზე, — განაგრძო იტონმა, მალე გააუქმებენ ამ პრივილეგიებს".

ჰეს ჰოლი მოითხოვს...

ნიუ-იორკი, 17 ივნისი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა ჰეს ჰოლმა აცნობა კორესპონდენტებს, რომ მან სენატის უმრავლესობის ლიდერს სენატორ ლინდონ ჯონსონს და სენატის საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარეს სენატორ ჯ. ფულბრაიტს გაუგზავნა დეპეშა, რომლითაც გადამჭრელ პროტესტს აცხადებს სენატის მიერ იაპონია-ამერიკის „უშიშროების ხელშეკრულების", როგორც „ისეთი დოკუმენტის, რომელიც გამოიწვევს ომსა და მილიტარიზმის აღორძინებას", რატიფიკაციის წინააღმდეგ.

„ეს ხელშეკრულება, — ნათქვამია დეპეშაში, — არღვევს მშვიდობასა და ამერიკელი ხალხის ეროვნულ ინტერესებს და ბღალავს გმირი იაპონელი ხალხის დიდი უმრავლესობის ნათლად გამოხატულ სურვილებს".

ჰეს ჰოლი მოითხოვს დაუყოვნებლივ განიხილონ საკითხი ხელშეკრულების შესახებ სენატის კომისიებში ახალი სიტუაციის თვალსაზრისით და ნება დართონ მუშებს, ამერიკელი ხალხის პროგრესულ და მშვიდობისმოყვარე ორგანიზაციებს გამოთქვან იქ თავიანთი აზრი.

კუბა იბრძვის, კუბა იმარჯვებს

მიხეილ ლელაშვილი

საქართველოსავით პატარა და ტურფა ქვეყანაა კუბა.

ისტორია ასე გადმოგვცემს, აღმოჩენის დღეს, 1492 წლის 27 ოქტომბერს, ქრისტეფორე კოლუმბს უთქვამს, ყველაზე მშვენიერი მიწა-წყალია, რომელიც კი ოდესმე ადამიანის თვალს უნახავსო...

მაგრამ სწორედ ამ მშვენიერებამ და მდიდარმა ბუნებრივმა პირობებმა აქციეს კუბა ტანჯვისა და ძარცვის ქვეყნად. კუბელ ხალხს დღემდე არ დავიწყებია ინდოელი თავკაცი ატუეი, სამშობლოს თავისუფლებისათვის მებრძოლი გმირი, რომელიც ჯერ კიდევ ამ ოთხასი წლის წინათ აწამეს ესპანელმა კონკისტადორებმა.

მაგრამ განა მარტო ატუეი აწამეს! სამასი ათასზე მეტი მკვიდრი სიბონეი და გუანახატაბეი ამოწყვიტეს ძირფესვიანად, მერე აფრიკიდან ზანგები ჩამორეკეს და მონებად აქციეს. მთელი ოთხასამოცდაათი წლის მანძილზე ერთი მოსვენებული დღე არ ახსოვთ კუბელებს... ჯერ იყო და ესპანელები პარპაშებდნენ, მერე ისინი შეერთებულმა შტატებმა შეცვალეს.

ხომ არ შეიძლება მთელი თავისი ცხოვრება მონობაში ამოხდეს ხალხს სული! და აი საუკუნეთა მანძილზე დაგროვილი ბოღმა და მწუხარება რისხვად იქცა. **„სამშობლო ან სიკვდილი"** — ასე დააწერეს კუბელმა მშრომელებმა თავიანთ დროშას და 1959 წლის პირველ იანვარს სისხლიანმა დიქტატორმა ტრუხილიო ბატისტამ კუდამოძუებულმა დატოვა „თავისი მშვენიერი სანახები". ახლა კუბას სათავეში უდგას ახალგაზრდა კაცი, ეროვნული თავისუფლებისათვის შეუდრეკელი მებრძოლი, დოქტორი **ფიდელ კასტრო.** კუბელი ხალხი ახალ ცხოვრებას აშენებს... უკვე წელიწადნახევარია ახალი გზით მიდის.

რა მოხდა, რა შეიქმნა ამ წელიწადნახევარში?

ამ ფიქრებით დავადგი ფეხი წელს, 2 მაისს, კუბის დედაქალაქის ჰავანის მიწას. აეროდრომს, რომელზეც ჩვენი თვითმფრინავი დაეშვა, „რანჩო ბოიეროსი" ჰქვია. ჩვენი, საბჭოთა პროფკავშირული დელეგაცია, წესით, აპრილის ბოლოს უნდა ჩასულიყო კუბაში პირველი მაისის დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად, მაგრამ საქმეში „ავი თვალი" ჩაერია და სამ-ოთხ დღეს პარიზიდან ვერ დავიძარით. როგორც შემდეგ გავიგეთ, მიზანი ერთი იყო —საბჭოთა დელეგაციას არ უნდა ჩაესწრო პირველი მაისის დღესასწაულისათვის. ამ საჰაერო ხაზს ამერიკული კომპანიები ემსახურებიან და ისინი ყველაფერს აკეთებდნენ, რომ ხელი შეეშალათ ჩვენთვის...

ჰავანაში გულწრფელი სიყვარულითა და სიხარულით შეგვხვდნენ კუბის მშრომელთა კონფედერაციის წარმომადგენლები.

კოლუმბის თქმისა არ იყოს, მართლა „ყველაზე მშვენიერი" ქვეყანაა კუბა. იმ ორი კვირის მანძილზე, რომელიც კუბაში დავყავით, თვალნათლივ დავრწმუნდით ამ ჭეშმარიტებაში, მაგრამ კუბის ნამდვილი მშვენიერება მაინც ახალი ცხოვრების სუნთქვაა, თავისუფალი ხალხის აღორძინებული სულია, ყოველ ნაბიჯზე რომ გრძნობს ჩასული კაცი. კუბა შაქრისა და ჩაშაქრებული ხილის ქვეყანაა, მაგრამ ესოდენი სიმწარე ჩაგვრისა ბევრს სხვას არ უგემია. საუკუნეების მანძილზე ჯერ ესპანელებს, მერე ინგლისელებსა და ამერიკელებს მიჰქონდათ კუბელი ხალხის მონაგარი.

ჰავანა დიდი, თანამედროვე ქალაქია, რომელშიც ერთ მილიონამდე კაცი ცხოვრობს. მშრომელი მოსახლეობის დიდი ნაწილი წინათ სარდაფებსა და ჯურღმულებში ცხოვრობდა. რევოლუციის მიზანია ყველა კუბელს ჰქონდეს წესიერი ჭერი, ამიტომაც აქ ყოველ ნაბიჯზე მშენებლობაა, ხალხი თვითონ აშენებს თავის საცხოვრებელს.

თუ რა კონკრეტულ მიზნებს ისახავდა რევოლუცია, კარგად გამოხატა ფიდელ კასტრომ თავის სიტყვაში, რომელიც მან ჯერ კიდევ პირველი ამბოხების მარცხით დამთავრების შემდეგ წარმოთქვა სამსჯავროს წინაშე.

კასტრო ამბობდა:

„თუ ბრძოლაზე ჩამოვარდა ლაპარაკი, იცით თუ არა, ვის ვეძახით ხალხს? ხალხია — 600 ათასი კუბელი, რომელთაც სამუშაო არა აქვთ, მაგრამ უნდათ ნამუსიანად იშოვნონ ლუკმაპური. ხალხია — 500 ათასი გლეხი, რომელთაც მხოლოდ ოთხ თვეს აქვთ სამუშაო წელიწადში და რვა თვეს კი შიმშილობენ. იმათ ერთი ხელისგულისოდენა მიწაც კი არა აქვთ. ხალხია — 400 ათასი მუშა და ხელოსანი, რომელთაც ართმევენ არა მარტო მონაგარს, არამედ მოსვენებასაც. ისინი ნახევრად დანგრეულ ქოხმახებში ცხოვრობენ და თანაც ყოველ წუთს ეშინიათ ხელფასის შემცირებისა თუ სამუშაოდან დათხოვნისა. იმათი დღევანდელი ხვედრია დაუსრულებელი შრომა, ხოლო მოსვენებას ისინი მხოლოდ სამარეში ჰპოვებენ. ხალხია — 100 ათასი წვრილი მიწის მუშა, რომელნიც ცხოვრობენ და იხოცებიან ბობოლათა მიწაზე... ხალხია— 30 ათასი მასწავლებელი, რომელნიც ცდილობენ გააუმჯობესონ მომავალ თაობათა ხვედრი, მაგრამ მასწავლებლის ფასი ჩვენს ქვეყანაში რა იციან! ხალხია— 20 ათასი წვრილი მოვაჭრე, რომელთაც ვალებში ხდებათ სული. ხალხია — 10 ათასი ახალგაზრდა სპეციალისტი: ექიმები, ინჟინრები, ვექილები, ვეტერინარები, ჟურნალისტები, მხატვრები, მოქანდაკეები... რომელნიც ამაოდ ეძებენ გამოსავალს. ყველანი ერთად აღებულნი თავიანთი ოჯახებიანად შეადგენენ კუბის დატანჯულსა და დაჩაგრულ ხალხს, რომელსაც ძალა შესწევს მთელი თავისი ვაჟკაცობით აღდგეს საბრძოლველად."



კუბელი ხალხი მართლაც რომ გმირულად, ვაჟკაცურად აღუდგა ბატისტას სისხლიან რეჟიმს... და როგორც სახლი მთლად მოალაგოს კაცმა, ავაზაკთაგან დარბეული სახლი, ისე ტრიალებენ კუბელები თავიანთ ქვეყანაში, რომელმაც სისხლის ფასად მოიპოვა თავისუფლება ბატისტას ჯართან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში.

კუბის ექვს პროვინციათაგან ჰავანის პროვინცია ყველაზე პატარაა, მაგრამ ყველაზე მეტად იქ იგრძნობა ქვეყნის მაჯისცემა. ყოველ მშენებლობაზე, სადაც კი მივედით, ასეთი წარწერებია: „ხალხო, აქ ყველაფერი შენია, ააშენე და იცხოვრე!" „გაუფრთხილდი და გიყვარდეს აქაურობა!" მეტად კარგი სანახავია გვირაბი, რომელიც ჰავანის ბოლოზის ქვეშ გადის და კუბის დედაქალაქს ახალ ქალაქთან ჰავანა-დელესტესთან აერთებს. მშენებლობაზე მომუშავე კუბელები ყველგან მეგობრულად გვხვდებოდნენ, როგორც ისინი ამბობდნენ, „დიდი რევოლუციის ქვეყნის წარმომადგენლებს".

3 მაისს საღამოს მონაწილეობა მივიღეთ კუბის მშრომელთა კონფედერაციის აღმასრულებელი კომიტეტის სხდომის მუშაობაში. მეორე დღეს კუბაში სტუმრად ჩასული დელეგაციების წევრები ჰავანის ტელევიზიით გამოვედით. საბჭოთა დელეგაციის წევრებმა რევოლუციის გამარჯვება მივულოცეთ კუბელ ხალხს და ახალი წარმატებები ვუსურვეთ, ვუთხარით, რომ საბჭოთა ხალხი კუბის რევოლუციის მხარეზეა, სულითა და გულით მიესალმება ახალ, თავისუფალ კუბას...

...დავათვალიერეთ დიდი კუბელი პოეტისა და მოაზროვნის, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ბელადის **ხოსე მარტის** ძეგლი — ობელისკი, რომელიც რევოლუციის მოედანზეა აღმართული და უზარმაზარი ფართობი უჭირავს— 900 კვადრატული მეტრი. ობელისკი ოცდაორსართულიანია, ფორმით ხუთქიმიან ვარსკვლავს მოგაგონებთ, ასვლა შეიძლება ხრახნილი კიბით, რომელსაც 770 საფეხური აქვს, მუშაობენ ლიფტებიც. კვარცხლბეკზე ამოკვეთილია ხოსე მარტის აზრები: **„თავისუფლება სისხლით მოიპოვება და არა ცრემლით", „ბავშვები არიან სამყაროს იმედი"**... მარტის სახელი ყველა თავისუფლებისმოყვარე კუბელის გულშია. მარტიმ მთელი სიცოცხლე თავისი ხალხის მომავალზე ზრუნვასა და ბრძოლას მოანდომა. დაღუპვამდე რამდენიმე დღით ადრე მარტი ერთ-ერთ მეგობარს სწერდა: „ყველაფერი, რაც აქამდე მიკეთებია, და ყველაფერი, რაც უნდა გავაკეთო, მხოლოდ და მხოლოდ ერთ მიზანს ისახავს: ხელი შევუშალო შეერთებულ შტატებს ანტილის კუნძულების დაპყრობაში".

კუბის რევოლუციის ერთ-ერთ ყველაზე დიდ მიღწევად სამართლიანად ითვლება აგრარული რეფორმა, რომელიც 1959 წლის 17 მაისს გამოაცხადა რევოლუციურმა მთავრობამ და ამ მიზნით სპეციალურად შექმნა აგრარული რეფორმის ეროვნული ინსტიტუტი.

კუბა მთლიანად ექვს პროვინციად და 126 მუნიციპალურ ოლქად არის დაყოფილი, ხოლო აგრარული რეფორმის გასატარებლად ამჟამად მთელ ქვეყანაში 27 ზონა შეიქმნა. თვითეულ ზონაში ნაირნაირი კოოპერატივები იქმნება. თუ ერთ კოოპერატივში მისდევენ ბრინჯის, სიმინდის, ცერცვის მოყვანას, მეორეში ყავა, ბამბა, პამიდორი მოჰყავთ, იქმნება აგრეთვე ტორფისა და მარილის მომპოვებელთა, მეთევზეთა კოოპერატივები, რომლებიც ჩვენს საბჭოთა მეურნეობებს წააგავან. მსხვილ მემამულეთა და ბობოლათა მიწები თანდათან გლეხთა — გუახიროთა საკუთრება ხდება.

კუბელები ჩვენი კოლმეურნეობების მაგვარ კოოპერატივებს ქმნიან. წელს ძირითადად უნდა დამთავრდეს აგრარული რეფორმა. გლეხები და მონახევრენი უფასოდ მიიღებენ თავიანთ ნაკვეთებს. ლატიფუნდიათა მფლობელნი და ამერიკული კომპანიები ამჟამად თავიანთ უკანასკნელ მოსავალს იღებენ. ყველგან ამ მიწებზე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები იქმნება...

ეს ამბავი, ცხადია დიდად აშფოთებს ამერიკელ მონოპოლისტებს. ისინი ცდილობენ ეკონომიურად ჩაახშონ კუბის რევოლუცია, შაქრის შესყიდვაზე უარის თქმით ემუქრებიან კუბას, შაქარი კი კუბის ერთ-ერთი მთავარი ეკონომიური ძალაა. როგორც „კუბის გეოგრაფიის" ავტორი პროფესორი ანტონიო ნუნიეს ხიმენესი წერს, თუ ერთიმეორის მიყოლებით დავაწყობთ შაქრის ტომრებს, ერთი ჩვეულებრივი წლის მოსავალს, რომელსაც კუბის შაქრის ქარხნები ამუშავებენ, დედამიწას ეკვატორზე ამ შაქრის ტომრათა სარტყელი შემოერტყმოდა...

ცნობილია, რომ ზოგიერთი ანდაზა ყველგან ერთნაირად ჟღერს... კარგი მეგობარი ჭირში იცნობაო, ამბობენ კუბელები, როცა ჩვენს ქვეყანაზე ჩამოვარდება ხოლმე ლაპარაკი. კუბელებს დიდად ახარებთ ის ამბავი, რომ საბჭოთა კავშირმა იკისრა კუბის შაქრის მთელი მოსავლის ოცი პროცენტი შეისყიდოს, თანაც სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო იარაღები მიაწოდოს, ხოლო ხანგრძლივმა სესხმა, რომელიც 100 მილიონი დოლარის სახით მისცა კუბას საბჭოთა კავშირმა, საბოლოოდ დაარწმუნა კუბელები და თვალი აუხილა, თუ ვინ არის ნამდვილი მოყვარე ან მტერი... უნდა ნახოთ, რა სიხარულის ჟრიამული დგას, როცა კუბის ნაპირებს საბჭოთა გემები მიადგებიან ხოლმე.

5 მაისს ჰავანიდან გავედით. გზა პალმების ხეივანში გადის. მივდივართ მატანსასის პროვინციაში, რომელიც ჰავანის აღმოსავლეთით მდებარეობს. ირგვლივ შაქრის ლერწმის პლანტაციები და ამწვანებული ველ-მინდვრებია... პროვინციის ხელმძღვანელმა კაპიტანმა ხულიო სუარესმა მატანსასის ღირსშესანიშნავი ადგილები დაგვათვალიერებინა.

ვნახეთ საოცარი გამოქვაბული, რომლისთვისაც ბელიამარი — ლამაზი ზღვა უწოდებიათ აქაურებს, გამოქვაბული 1861 წელს ჩინელს აღმოუჩენია. წერაქვი ჩავარდნია ორმოში, ამხანაგებისთვის დაუძახნია, იმათ თოკი მოუბამთ და ორმოში ჩაუშვიათ, მაგრამ ორმოს მაგივრად ჩინელს უზარმაზარი გამოქვაბული დახვედრია და რაღას იპოვნიდა წერაქვს. „ბელიამარი" სიგრძით ორი კილომეტრია. ჩვენ ორი საათი დავყავით ამ საოცარ გამოქვაბულში და მხოლოდ 700 მეტრზე წავედით. საუკუნეთა მანძილზე მისხალ-მისხალ ხდება თურმე მინერალთა დაფენება ამ მღვიმეში და ამიტომაც ჩახვალ თუ არა, ასეთ წარწერას მოჰკრავ თვალს: „ნუ გაიმეტებ ერთ წამში დასანგრევად ბუნების მიერ საუკუნეთა მანძილზე შექმნილს"... საოცარი სანახავია აგრეთვე ლაჟვარდოვანი ნაპირი „ვარადერო" და მარად მწვანე ხუმურის ველი.

უკვე კარგა შეღამებულიყო, და სწრაფად გავემგზავრეთ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივში. იქ მეტად მეგობრული ვახშამი მოგვიწყეს. ბრინჯის ფაფა, ხილი მანგო და მალტინა (ბურახივით სასმელია) უხვად მოიტანეს სუფრაზე. გაიბა მეგობრული საუბარი. კუბელი მშრომელები ცნობისმოყვარეობით გვეკითხებოდნენ ჩვენს ქვეყანაზე, ჩვენს ადამიანებსა და ცხოვრებაზე... კოოპერატივიდან სასტუმრო „ოაზისში" წავედით, რომელიც ზღვის ნაპირას მდებარეობს. დილით გავიგეთ, რომ ფიდელ კასტროს სურვილი გამოეთქვა შეგვხვედროდა სიერა-მაესტრას მთებში. ეს ის სიერა-მაესტრაა, სადაც 1956 წელს გავარდა პირველი ტყვია თავისუფლებისათვის. მექსიკიდან დაბრუნებული ფიდელ კასტრო თავის რამდენიმე ამბოხებულ ამხანაგთან ერთად პირველად ამ მთებისაკენ გაიჭრა. სიერა-მაესტრას ერთ-ერთი უმაღლესი მწვერვალის — ტურკინოს კალთებზე მთავრობას განზრახული აქვს ააგოს ისტორიულ-რევოლუციური მუზეუმი.

ნელა გავუდექით გზას. ვნახეთ აროსიერას ბრინჯის მინდვრები. ვიყავით ერთ-ერთ სამშენებლო უბანში. აქ მთავრობა 300 სახლს აშენებს მეთევზეთათვის, ხოლო იმ სახლში, სადაც წინათ ბატისტა ცხოვრობდა, ახლა დიდი საბავშვო ბანაკია, სადაც სამასამდე ბავშვი სწავლობს და ისვენებს. დავათვალიერეთ შესანიშნავი საზოგადოებრივი სასტუმრო, რომელიც წინათ ვინმე მდიდარ ამერიკელს ეკუთვნოდა, ახლა კი ხალხია მისი ბატონ-პატრონი.

ჩვენი გზა აეროდრომზე გადიოდა. უცებ ცაში შვეულმფრენი დავინახეთ. ის ჩვენს წინ დაეშვა. გადმოვიდა კუბის მშრომელთა კონფედერაციის მდივანი ხესუს სოტო, რომელმაც შეგვატყობინა ფიდელ კასტრო სასტუმრო „ოაზისში" გელოდებათო...

კასტრო ძმურად, მეგობრულად შეგვხვდა. ის მეტად მოხდენილი ახალგაზრდაა, რომელსაც მთელი გულით სჯერა თავისი ხალხისა და ხალხსაც ამიტომ უყვარს. ის როგორც ხოსე მარტი, ქირურგიულ ოპერაციას უწოდებს რევოლუციას. ამ ოპერაციამ ძირფესვიანად უნდა შეცვალოს ცხოვრება, ამბობს კასტრო, სწორედ ამიტომ უყურებენ ასე ელმაცერად კუბის რევოლუციას რეაქციული წრეები, რომელთაც ნამდვილად „გემრიელი ლუკმა" გამოეცალათ ხელიდან.

კასტრომ სადილად მიგვიწვია. ჩვენმა დელეგაციამ კუბის რევოლუციის სადღეგრძელო დალია. ქართული წესის თანახმად ჩვენებური ქინძმარაულით სავსე ყანწი ახლა კასტრომ ასწია. ჯარისკაცებმა თქვეს, წინათ არასოდეს არ გვინახავს, რომ ფიდელს მაგარი სასმელი დაელიოსო. მაგრამ ახლა, ეტყობა, ხათრი არ გაგვიტეხა. კასტროს ძალიან მოეწონა ქართული ღვინო და თქვა, ასეთი ღვინო ჯერ არ დამილევია და ამ კარგი ღვინით ჩვენს კარგ მეგობრობას გაუმარჯოს, კავკასიას გაუმარჯოსო.

...კუბის აღმოსავლეთით ქალაქ მანსანილიოში გავფრინდით, ვიყავით სანტიაგო დე კუბაში, ორიენტეს პროვინციაში... და ყველგან მხოლოდ ერთსა ხედავს და ფიქრობს ადამიანი: დიდი და პატარა, ქალი და კაცი, მასწავლებლები, ექიმები, ჯარისკაცები, მუშები, გლეხები — ყველანი ერთად აშენებენ ახალ ცხოვრებას. როგორც ძველად საქართველოში, აქაც თოფ-იარაღასხმული დაიარება ხალხი და ფხიზლად იცავს თავის მიწა-წყალს, რევოლუციის მონაპოვარს.

ვიყავით სამხედრო ციხესიმაგრე „კოლუმბიაში", ამჟამად თავისუფლების ქალაქში, რომელიც წინათ ბატისტას ციტადელს წარმოადგენდა. რევოლუციურმა მთავრობამ, რომელიც დიდ ყურადღებას აქცევს ხალხში ცოდნა-განათლების შეტანას, ციხე-სიმაგრე „კოლუმბია" განათლების სამინისტროს გადასცა 1959 წლის 14 სექტემბერს.

ერთ პატარა საგაზეთო წერილში მეტად ძნელია ყველა ნანახისა და განცდილის აღნუსხვა, ყველა ამბისა და ადგილის აღწერა, მაგრამ მთავარი ის არის, რომ აქ ყველა გამსჭვალულია ერთი მიზნით: საბოლოოდ გაიმარჯვოს რევოლუციამ. როცა მანსანილოში მეფეხსაცმელეთა კოოპერატივში მივედით (კოოპერატივი ონელ კანიეტის სახელს ატარებს, მუშაობს 400-მდე კაცი) ერთ-ერთმა მუშამ ყველა ხარაზის სახელით თქვა: კოოპერატივის გამარჯვება რევოლუციის გამარჯვებას ნიშნავს, ხოლო ჩვენი რევოლუცია მთელ ლათინურ ამერიკას უჩვენებს გზას. კუბელ მშრომელთა ასეთივე სულისკვეთება ვნახეთ დაბა იარაში, სადაც შაქრის ქარხანა დავათვალიერეთ, მარიანა გრახალესის ქალთა ბანაკის დათვალიერებისას თუ სოფელ მერსედესსა და ალმაჩენისში ან ორიენტეში, სადაც მეამბოხე ჯარისკაცებს შევხვდით...

სანტიაგო დე კუბას მახლობლად შევიარეთ კოოპერატივ „ნუევა ბალიავისტაში". აქ ექვსასორი ოჯახისათვის შენდება ახალი ლამაზი სახლები. თითო ასეთი სახლი მთავრობას 1000 პესო უჯდება, კუბელი მშრომელი კი, რომელსაც თითქმის ღია ცის ქვეშ უხდებოდა ცხოვრება, უფასოდ იღებს ამ სახლს. კუბელებმა უფასოდ მიიღეს აგრეთვე სამხედრო ყაზარმები და მდიდართა სასახლეები, სადაც ამჟამად გახსნილია სკოლები და საბავშვო ბაღები.

კუბაში ერთი ასეთი შემთხვევის მოწმენი გავხდით. იმხანად მოხდა სწორედ პაუერსის სალაზღერო თვითმფრინავის სამარცხვინო ამბავი. მალე კუბელებმაც ჩამოაგდეს ერთი ამერიკული თვითმფრინავი და სადაც კი გამოვჩნდებოდით საბჭოთა ადამიანები, კუბელი მშრომელები ამაყად წარმოთქვამდნენ: ხრუშჩოვი დიდი პრემიერია და დიდი თვითმფრინავიც ჩამოაგდო, კასტრო პატარა პრემიერია და პატარა თვითმფრინავს მოუღო ბოლოო.

„სიკვდილი ან სამშობლო!" — ასეთია კუბელთა ლოზუნგი. რევოლუცია ყოველდღე ახალ წარმატებებს აღწევს. ხალხის ზიზღი რისხვად ატყდება რევოლუციის მტრებს... მაგრამ არის რევოლუციის საწინააღმდეგო გამოხტომებიც. ამ მხრივ თავი „გამოიჩინა" გაზეთმა „დიარიო დე ლა მარინამ". მაშინ კუბელმა მშრომელებმა სტამბა დახურეს, გაზეთის უკანასკნელი ნომრები კუბოში ჩააწყეს და ქალაქგარეთ სამუდამოდ დამარხეს. ასეთი ამაღელვებელი სურათის მოწმენიც გავხდით.

ჩვენთვის, საბჭოთა ადამიანებისათვის, დიდად სასიამოვნო იყო, რომ კუბელი მშრომელი ხალხი იმედის თვალით შესცქერის ჩვენს ქვეყანას.

კუბელები ხალისით, ცნობისმოყვარეობით გველაპარაკებოდნენ ჩვენს გამოფენაზე, რომელიც ამას წინათ მოეწყო ჰავანაში. ძველი ძვირფასი მეგობარივით იგონებდნენ ამხანაგ ანასტას მიქოიანს, რომელმაც ათი დღე დაჰყო კუბაში. ერთი სიტყვით, ყველაფერი თავისი გზით, რევოლუციური გზით მიდის ამ პატარა მზიურ ქვეყანაში.

კუბის რევოლუცია ამერიკულ იმპერიალიზმში შეჭრილი სოლია, უტყუარი დასაწყისია იმ დიდი ბრძოლისა, რომელიც ხვალ მთელ ლათინურ ამერიკას უნდა მოედოს. აი ამიტომაც არის უკმაყოფილო პრეზიდენტი ეიზენჰაუერი, ამბობენ კუბელები, რომელიც საჯაროდ აცხადებს, რომ შეწუხებულია ჩვენი უმადურობით...

მშვიდობით, მშვენიერო კუბავ. გმირო კუბელო ხალხო, კეთილად გევლოთ ამ ახალ გზაზე, ვამბობდით გულში, რომელიც უკვე სამშობლოსაკენ გვეწეოდა.

ჰავანა-თბილისი,
1960 წლის მაისი.

• • •

სურათებზე (ზევიდან ქვევით): ამ კარგი ქართული ღვინით ჩვენს კარგ მეგობრობას, კავკასიას გაუმარჯოსო, თქვა ფიდელ კასტრომ; ჰავანის გზატკეცილი; კუბელი ქალიშვილები თავიანთი მამებისა და ძმების გვერდით იბრძვიან სამშობლოს თავისუფლებისათვის.

წერილი ისრაელიდან

შოთა რუსთაველის საფლავის შესახებ

მრავალი მკითხველი ინტერესით ადევნებს თვალყურს მასალებს, რომლებიც „კომუნისტში“ ქვეყნდება საერთო სათაურით „რუსთაველის ნაკვალევზე“. რედაქციაში ყოველდღიურად შემოდის წერილები, რომელთა ავტორები მოითხოვენ დაწვრილებით პასუხს რუსთაველის ცხოვრების უკანასკნელი პერიოდის შესახებ, წინადადებას აყენებენ ადგილზევე შესწავლილ იქნას იერუსალიმის ჯვარის მონასტრის კედლის მხატვრობა, პირველ რიგში რუსთაველის გამოსახულება და კედლის წარწერა.

ჩვენი საზოგადოებრიობის საყოველთაო ინტერესი გამოიწვია საბჭოთა ჟურნალისტის ს. ლოსევის წერილმა „რუსთაველის საფლავის შესახებ“, რომელიც გაზეთ „ვეჩერნი თბილისში“ დაიბეჭდა 17 ივნისს. ყურადღებას იქცევს ცნობა, თითქოს ჯვარის მონასტრის მატიანეში აღნიშნულია, რომ 1192 წელს შოთა რუსთაველი თამარ მეფის დავალებით ეწვია იერუსალიმს ჯვარის მონასტრის რესტავრაციის მიზნით.

ცნობილი რუსთველოლოგი პროფ. ალ. ბარამიძე ამასთან დაკავშირებით წერს: „ს. ლოსევის წერილი საერთოდ ფრიად საინტერესოა. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ციტატს ჯვარის მონასტრის მატიანიდან, რომელიც გვაუწყებს შოთა რუსთაველის ჯვარის მონასტერში მისვლას 1192 წელს — ამ მონასტრის შესაკეთებლად თამარ მეფის დავალებით. შესაძლოა, ავტორს მხედველობაში აქვს ჩანაწერი შოთა მეჭურჭლეთუხუცესის ალაგის შესახებ, რომელსაც ტიმოთე გაბაშვილი აიგივებს პოეტ შოთა რუსთაველთან, სთვლის რა მას წმიდა ჯვარის მონასტრის რესტავრატორად. თუ კი ეს ციტატი ახალ, დღემდე უცნობ ჩანაწერს წარმოადგენს, მაშინ იგი უაღრესად მნიშვნელოვანია რუსთაველის ბიოგრაფიის შესასწავლად და შეიძლება ჩაითვალოს უდიდეს აღმოჩენად რუსთველოლოგიის დარგში“.

გამოჩენილმა ქართველმა მეცნიერმა აკადემიკოსმა კორნელი კეკელიძემ „კომუნისტის“ კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა: „ს. ლოსევი ქართველი საზოგადოებრიობის მხოლოდ მადლობის ღირსია. საბჭოთა ჟურნალისტის ს. ლოსევის წერილი ფრიად საყურადღებოა და მნიშვნელოვანია საკითხის დასმის წესით. რაც შეეხება საკითხის საბოლოო გადაწყვეტას, ეს შესაძლებელი გახდება ს. ლოსევის მიერ მითითებული წყაროების საფუძვლიანი მეცნიერულ-კრიტიკული შესწავლისა და შეჯერების გზით“.

იერუსალიმის სამხრეთ-დასავლეთ განაპირას, ზეთისხილის გამეჩხრებულ ჭალაში დგას ძველი ჯვარის მონასტერი. ბიბლიის ლეგენდის მიხედვით, იმ ხისაგან, რომელიც ოდესღაც იმ ადგილზე იდგა, სადაც ახლა მონასტერია აგებული, გაკეთებული იყო „ცხოველმყოფელი ჯვარი“, რომელზეც ქრისტე აცვეს.



გარეგნულად მონასტერი ციხე-სიმაგრეს ჰგავს: მას აქვს მაღალი სქელი კედლები, რომელთა კუთხეებში კოშკებია, ვიწრო, სათოფურების მსგავსი ფანჯრები და დაბალი პატარა კარი — ერთადერთი შესასვლელი მონასტერში. მხოლოდ გუმბათი, სამრეკლო და სახეებიანი სვეტების მსგავსი საკვამლე მილები ოდნავ არიან აცილებული კედლებს.

მონასტერი ამჟამად ბერძენთა მართლმადიდებელ ეკლესიას ეკუთვნის, მაგრამ ბევრი რამ იქ — არქიტექტურული ქართულ-ბიზანტიური სტილით დაწყებული და მონასტრის ეკლესიის კედლებზე შესანიშნავი ქართული ფრესკებითა და წარწერებით დამთავრებული — მოგვაგონებს მის ნამდვილ წარმოშობას. მონასტრის წარსული თითქოს ქვის ილუსტრაციაა საქართველოს VII-XVII საუკუნეების ისტორიისა.

ჯვარის მონასტრის წარმოშობაზე რამდენიმე გადმოცემა არსებობს. ერთი ლეგენდის თანახმად, მონასტერი აგო მეფე ვახტანგ გორგასალმა — საქართველოს V საუკუნის მმართველმა. მეორე, უფრო სარწმუნო გადმოცემით, მონასტერი VII საუკუნეში დაარსა მეფე ერეკლემ — შესაძლოა 630 წელს, როცა ერეკლემ, სპარსელებზე გამარჯვების და ტყვეობისაგან ეგრეთწოდებული „ცხოველმყოფელი ჯვარის“ დაბრუნების შემდეგ, მოიარა იერუსალიმი.

ისტორიისათვის დანამდვილებით ცნობილია, რომ უკვე V საუკუნეში იერუსალიმში და მთელ „წმიდა მიწაზე“ ბევრი ქართველი ცხოვრობდა. ისრაელის რელიგიის მინისტრის მრჩევლის ხ. ვარდის აზრით, რომელსაც მე მივმართე, როგორც ადამიანს, რომელიც გულდასმით სწავლობდა პალესტინაში ქართველთა კოლონიების ისტორიის ამ პერიოდს, ძველი მონასტრების უმრავლესობა პალესტინაში აგებული იყო ქართველი ბერების მიერ.

— V საუკუნეში ლაზის ეპისკოპოსი, — თქვა ვარდიმ, — პეტრე იბერი იყო. წმიდა მთავარანგელოზის იბერთა მონასტერიც ქართველების მიერ იყო აშენებული და მხოლოდ 400 წლის წინათ გადავიდა ფრანცისკელთა ხელში. შესაძლოა, რომ ჯვარის მონასტერიც თავიდანვე ქართველთა ნახელავი იყო.

ყოველ შემთხვევაში მონასტრის ეკლესიის კედლების წარწერები, რომლებიც XI საუკუნეს ეკუთვნის, უკვე ნათლად მოწმობენ, რომ მონასტერი ქართველებმა შექმნეს.

VII საუკუნიდან XI საუკუნემდე განვლილ პერიოდში მონასტერი ძლიერ დაანგრიეს სარაცინებმა. XI საუკუნის პირველ ნახევარში სულთან ალ-ჰაკიმ ბიამრ ალას ეგვიპტელმა მეომრებმა დააქციეს მონასტერი. 1038 წელს ქართველი ბერები პროხორე ბერის მეთაურობით შეუდგნენ მონასტრის აღდგენას და 1057 წელს დაამთავრეს სარესტავრაციო სამუშაოები. მონასტერი ხელახლა აშენდა საქართველოს მეფის ბაგრატ IV-ის (1024-1072 წლ.) და ანტიოქიის, სინას და იერუსალიმის ქართველი ბერების ძმობათა დახმარებით.[1]

აღდგენის შემდეგ მონასტერი გახდა ცენტრი ქართველთა რელიგიური და კულტურული მოღვაწეობისა პალესტინაში. მის წინამძღვარს ნიშნავდა უშუალოდ საქართველოს მეფე და ეს წინამძღვარი განაგებდა ქართველთა მთელ საკუთრებას „წმიდა მიწაზე“.

იერუსალიმის დაპყრობის დროს ჯვაროსნებმა მატერიალური ზარალი მიაყენეს ჯვარის მონასტერს, მაგრამ ვერ გაბედეს ხელი ეგდოთ იგი.

XI-XIII საუკუნეებში დავით II-ის, გიორგი III-ისა და მისი ასულის თამარ მეფის (1184-1212 წლ.) ეპოქაში საქართველო განიცდიდა ქვეყნის გაერთიანების, თურქ დამპყრობთაგან მისი ხსნის პერიოდს. საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიური ძლიერების ზრდა აძლიერებდა მის საგარეო-პოლიტიკურ გავლენას. ამას კეთილმყოფელი შედეგი ჰქონდა ქართველთა სათვისტომოების მდგომარეობაზეც ახლო აღმოსავლეთში. როცა სარაცინებმა იერუსალიმი წაართვეს ჯვაროსნებს, ქართველთა კოლონიის მდგომარეობა არ გაუარესებულა. როგორც ვარდიმ აღნიშნა, ამ შემთხვევაში თავისი როლი შეასრულა არა მარტო საქართველოს ძლიერების ზრდამ, არამედ „სალადინთან და მის ვაჟებთან ურთიერთგაგების პოლიტიკამაც, რომელსაც ბიზანტიის იმპერატორისაგან განსხვავებით ახორციელებდა თამარ მეფე. სწორედ ამ დროს მიიღეს ქართველმა პილიგრიმებმა უფლებები და პრივილეგიები, რომლებიც მათ XVII საუკუნემდე შეინარჩუნეს“.

პალესტინაში ქართველთა კოლონიისა და ჯვარის მონასტრის ისტორიის ამ წლებთან დაკავშირებულია შუა საუკუნეების დიდი ქართველი პოეტის შოთა რუსთაველის ცხოვრების უკანასკნელი პერიოდი.

შოთა რუსთაველის ცხოვრების შესახებ ჩვენამდე ძალიან ცოტა ცნობებმა მოაღწია. ჯერჯერობით აღმოჩენილი არ არის რუსთაველის ეპოქის არცერთი ისტორიული ქრონიკა ან წერილობითი ძეგლი, რომელიც შეიცავდეს ცნობებს პოეტის ცხოვრების შესახებ. ჩვენთვის უცნობია პოეტის როგორც დაბადების, ისე გარდაცვალების წელი. არ შენახულა „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერიც. ამ უკვდავმა ნაწარმოებმა თანამედროვეებამდე მოაღწია მხოლოდ XVI საუკუნის დასასრულის — XVII საუკუნის დამდეგის ნუსხების სახით.[2]

თვითონ პოემა წარმოადგენს რუსთაველის შესახებ ცნობების ძირითად წყაროს. „ვეფხისტყაოსანი“ მიძღვნილია თამარ მეფისადმი, რომლის კარზე ცხოვრობდა რუსთაველი.

პოემის შესავალში რუსთაველი წერს:

„თამარს ვაქებდეთ მეფესა სისხლისა
ცრემლ-დათხეული,
ვთქვენი ქებანი ვისნი მე არ-ავად
გამორჩეული...
იგია ჩემი სიცოცხლე, უწყალო ვითა
ჯიქია;
მისი სახელი შეფარვით ქვემორე
მითქვამს, მიქია...“.

ეს მიძღვნა შესაძლებლობას გვაძლევს არა მარტო დავადგინოთ, რომ ავტორი ცხოვრობდა XII საუკუნის დამლევს — XIII საუკუნის დამდეგს, არამედ აგრეთვე გვაძლევს იმის გასაღებს, როგორც აღნიშნავს დიდი საბჭოთა ენციკლოპედია, რომ დავათარიღოთ პოემა: იგი შეიძლებოდა გაჩენილიყო არა უადრეს XII საუკუნის 90-იანი წლებისა და არა უგვიანეს XIII საუკუნის პირველი ათეული წლისა[3]. „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთი მთარგმნელი რუსულ ენაზე რუსთველოლოგი შალვა ნუცუბიძე თვით პოემაში მოცემული ცნობების საფუძველზე აღნიშნავს, რომ რუსთაველის პოემა შეიძლებოდა დაწერილიყო არა უადრეს 1198 წლისა და არა უგვიანეს 1212 წლისა.[4]

გადმოცემის თანახმად, შოთა რუსთაველი ჯვარის მონასტერში ჩასულა XII საუკუნის უკანასკნელ ათეულ წელიწადში, იქ დარჩენილა თავისი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე და დაუკრძალავთ მონასტერში.

ჯვარის მონასტრის მატიანეში ნათქვამია: „შოთა რუსთაველი იერუსალიმის წმიდა ადგილებში წავიდა 1192 წელს. იგი თამარ მეფემ გაგზავნა ჯვარის მონასტერში იმ დავალებით, რომ განეახლებინა მონასტერი, რომელიც ჯვაროსნებმა დააზიანეს“[5]. რუსთაველმა მონასტერში თამარ მეფისაგან ძვირფასი საჩუქრები ჩაიტანა და მონასტრის ეკლესია შესანიშნავი ფრესკებითა და მხატვრობით შეამკო.

ამ გადმოცემამ თავისი ასახვა ჰპოვა რამდენიმე ავტორის ნაშრომებში. ქართველმა არქიმანდრიტმა გრიგოლ ფერაძემ, წარსულში ვარშავის უნივერსიტეტის ფილოსოფიის დოქტორმა, 1937 წელს გამოაქვეყნა წიგნი „ქართველი ბერების ნამბობი არაქართველ პილიგრიმთა გადმოცემით“. „იმათ შორის, ვინც მონასტერში ცხოვრობდა, ამბობდა ფერაძე, ქართული გადმოცემით, იყო დიდი პოეტი შოთა რუსთაველი. იგი იქ ცხოვრობდა როგორც ბერი, გარდაიცვალა ამ მონასტერში და დაკრძალულ იქნა იქ...“[6]. ინგლისელი მწერალი ლიუკი 1924 წლის ბოლოს წერს, რომ ჯვარის მონასტერი „რუსთაველის გარდაცვალების ადგილია“[7].

ჯვარის მონასტერში შოთა რუსთაველის ყოფნის ხსოვნა შემორჩენილია არა მარტო გადმოცემებში. ჯვარის მონასტრის ისტორიაში, რომელიც დაწერილია ალბათ ბერძენი ბერის ქრისოსტომოს პაპადოპულოსის მიერ და რომელიც 1905 წელს გამოქვეყნდა, ნათქვამია: „მონასტრის ეკლესიაში შოთა რუსთაველის გამოსახულებაა. იგი შესასვლელის მარჯვნივ მეორე კუთხეშია ჰიმნოგრაფების (პოეტების) მაქსიმე და იოანე დამასკელის გამოსახულებებს შორის“[8].

ძნელია ზუსტად დადგენა, თუ როდის და ვინ შეასრულა შოთა რუსთაველის ეს გამოსახულება. მეტი წილი სპეციალისტები ფიქრობენ, რომ ეს გააკეთა 1643 წელს არქიმადრიტმა ნიკიფოროსმა, ქართველი თავადის ომან ჩოლოყაშვილის შვილმა. ნიკიფოროსი მეფე ლევან II დადიანის მითითებით ხელმძღვანელობდა მონასტრისა და სამონასტრო ეკლესიის რესტავრაციას[9]. ვარდის სიტყვებით, ნიკიფოროსმა, „დიდად განათლებულმა და ნიჭიერმა კაცმა, ეკლესიის კედლებსა და სვეტებზე გამოხატა მონასტრის ისტორიასთან დაკავშირებული პერსონაჟები. მათ შორის იყო მეფეების მირიანისა და გორგასალის, ბერ პროხორესა და პოეტ შოთა რუსთაველის პორტრეტები“.

საქართველოს მიტროპოლიტ ტიმოთეს XVIII საუკუნეში ჯვარის მონასტრის ეკლესიაში უნახავს რუსთაველის საფლავი და მისი პორტრეტი „მოღვაწის ძაძით“[10].

ლეგენდა რუსთაველზე — ბერზე ჩვენს წარმოდგენაში ვერ ეგუება ჰუმანისტი რუსთაველის სახეს, რომელიც უმღერდა რეალურ მიწიერ სინამდვილეს, ადამიანის სილამაზეს, მის ხსნას ბოროტების, უძრაობისა და ჩაგვრის ძალებისაგან. ხომ სწორედ ამით დაიმსახურა პოეტმა კლერიკალური წრეების სიძულვილი. ტყუილად კი არ იყო, რომ, გადმოცემის თანახმად, ჯერ კიდევ თამარ მეფის სიცოცხლეში, რომელიც მფარველობდა პოეტს, კათოლიკოსი იოანე სდევნიდა რუსთაველს, ხოლო XVIII საუკუნეში პატრიარქმა ანტონ პირველმა საჯაროდ დაწვა პოემა „ვეფხისტყაოსანი“[11].

ლეგენდა რუსთაველზე — ბერზე შექმნეს, ეტყობა, იმავე საეკლესიო წრეებმა, რომლებიც ცილსა სწამებდნენ ავტორს და ამახინჯებდნენ პოემას. ეს წრეები, სამწუხაროდ, ჯერჯერობით ერთადერთ წყაროს წარმოადგენენ ცნობებისათვის პოეტის სიცოცხლის უკანასკნელ პერიოდზე. მაგრამ დამახასიათებელია, რომ ეს წრეებიც კი მონასტერში რუსთაველის წასვლას ხსნიან არა მისი რელიგიური რწმენით, არამედ „უბედო სიყვარულით თამარ მეფისადმი“[12].

საინტერესოა აღინიშნოს, რომ, ზოგიერთი მკვლევარის აზრით, შოთა რუსთაველის გამოსახულება მონასტრის ეკლესიაში საერთოდ ეწინააღმდეგება გადმოცემას რუსთაველის ბერობის შესახებ მისი სიცოცხლის უკანასკნელ წლებში. მაგალითად, ალექსანდრე ცაგარელი წიგნში „ქართული სიძველის ძეგლები წმიდა მიწაზე და სინაში“, რომელიც პეტერბურგში გამოვიდა 1888 წელს, წერდა, რომ შოთა რუსთაველი კედელზე გამოსახული იყო როგორც ქართველი დიდკაცი და, მაშასადამე, ბერი არ ყოფილა[13].

ვარდის სიტყვებით, მას თვითონ უნახავს შოთა რუსთაველის გამოსახულება მონასტრის ეკლესიაში ყოფნისას დაახლოებით 20 წლის წინათ, მაგრამ დიდი დროის გასვლის გამო აწერა იძნელება. სამწუხაროდ, ახლა შოთა რუსთაველის პორტრეტის აღმოჩენა ეკლესიაში არ ხერხდება. მისი გამოსახულება, ისევე როგორც ზოგიერთი ფრესკები, უკანასკნელ წლებში ბათქაშით დაუფარავთ ან წაუშლიათ.

უეჭველია, შთამომავალთათვის დაცული იქნებოდა გაცილებით მეტი მონაცემები დიდი ქართველი პოეტის სიცოცხლის უკანასკნელ წლებზე, რომ არ ყოფილიყო ის მძაფრი და ტრაგიკული მოვლენები, რომლებიც მონასტერმა XIII საუკუნეში განიცადა. XIII საუკუნის დამლევს ეგვიპტის სულთანმა მელექ ან-ნასერ ბენ ხალაუნმა მონასტრიდან განდევნა ქართველი ბერები და დიდი ელ-მუსალაბის მეჩეთად გადააქცია იგი. 1305 წელს ბიზანტიის იმპერატორმა ანდრონიკუს მეორემ კვლავ დაიპყრო მონასტერი, და იქ დაბრუნებულმა ქართველმა ბერებმა აღადგინეს იგი. XIV-XV საუკუნეებში ჯვარის მონასტერი კვლავ იყო პალესტინაში ქართველთა რელიგიური სათვისტომოს ადმინისტრაციული და რელიგიური ცენტრი. ჯვარის მონასტრის გარშემო მდებარე მიწებზე იმ დროს სახლობდნენ ქართველი გლეხები, რომლებიც ოჯახებიანად წაიყვანეს საქართველოდან. მაგალითად, სოფელ მალქის მოსახლეობა იმ დროს მთლიანად ქართველებისაგან შედგებოდა[14]. XVI-XVII საუკუნეებში ფეოდალური შინაომებით დასუსტებულმა საქართველომ, რომელიც სულ უფრო კარგავდა თავის პოლიტიკურ გავლენასა და ეკონომიურ ძლიერებას, ვეღარ შეძლო შეენახა თავისი საეკლესიო და სამონასტრო სამფლობელოები პალესტინაში. XVII საუკუნის შუა ხანებში ქართველთა სათვისტომოს ხელში რჩებოდა მხოლოდ ჯვარის მონასტერი, მაგრამ მასაც უჭირდა სულ უფრო მზარდი გადასახადების გასტუმრება და ოტომანთა მოხელეებისათვის უზომო ქრთამების ძლევა.

XVII საუკუნის დამლევს იერუსალიმის ბერძენთა მართლმადიდებელი ეკლესიის პატრიარქმა დოსითეოსმა იყიდა მონასტერი ქართველი ბერებისაგან, და მას შემდეგ იგი ბერძენთა მართლმადიდებელ ეკლესიას ეკუთვნის[15]. XIX საუკუნის დამდეგს რუსეთთან საქართველოს შეერთების შემდეგ იყო ცდა დაებრუნებინათ მონასტერი საქართველოს ეკლესიისათვის, მაგრამ იმ დროს იგი უკვე გადაიქცა იერუსალიმში ბერძენთა პატრიარქის ერთ-ერთ დასაყრდენად და ბერძენთა მართმადიდებელმა ეკლესიამ ეს ცდა უარყო.

1855-დან 1908 წლამდე მონასტერში იერუსალიმის პატრიარქის სასულიერო სემინარია იყო.

1948 წელს პალესტინის ომის დროს მონასტრის შენობათა ნაწილში ისრაელის ჯარები იდგნენ. მონასტრიდან ისინი მხოლოდ 10 წლის შემდეგ წავიდნენ.

მიმდინარე წლის მაისის ერთ-ერთ დღეს საბჭოთა ადამიანების მცირე ჯგუფმა შეძლო ენახა ჯვარის მონასტერი. არქიტექტურის ამ შესანიშნავი ძეგლის 400 ოთახიდან და სათავსიდან ბევრი მიტოვებული და გაპარტახებულია. მაგრამ ხმებია, რომ იერუსალიმის პატრიარქის განზრახული აქვს დაიწყოს მონასტრის რესტავრაცია.

მოკრძალებით შევიდით ჩვენ მონასტრის ეკლესიაში, სადაც, გადმოცემით, ერთ-ერთი სვეტის გვერდზე განისვენებს ნეშტი დიდი ქართველი პოეტისა, საქართველოს ეროვნული სიამაყისა, რომლის ნაწარმოები საბჭოთა ქვეყნის მრავალეროვნული ლიტერატურის საგანძურის კუთვნილება გახდა.

ერთი იარუსით ზევით, თითქმის ზედ ეკლესიის თავზე, როგორც ძეგლი, აღმართულია დღემდე დარჩენილი ბიბლიოთეკა, რომელიც, გადმოცემის თანახმად, შოთა რუსთაველს დაუარსებია. XIV-XV საუკუნეებში, როცა მონასტერში ბევრი ქართველი მწერალი და მთარგმნელი ცხოვრობდა და მუშაობდა, ბიბლიოთეკის ფონდი ფასდაუდებელი ხელნაწერებით შეივსო. ახლა ამ ბიბლიოთეკას კლიტე ადევს, და საეჭვოა რომ იქ ქართული წიგნებიდან რაიმე იყოს შემორჩენილი. მაგრამ იერუსალიმის ბერძნული პატრიარქის ბიბლიოთეკაში ინახება დაახლოებით 170-180 ძველი ქართული ხელნაწერი. მათი ნაწილი იქ ალბათ ჯვარის მონასტრის ბიბლიოთეკიდან გადავიდა. გამორიცხული არ არის, რომ როდისმე ეს ხელნაწერები ჩვენს ისტორიკოსებსა და რუსთველოლოგებს გადაუშლიან ახალ ფურცელს შოთა რუსთაველის ეპოქიდან.

ს. ლოსევი.
საბჭოთა ჟურნალისტი.
ფოტო ავტორისა.

ტელ-ავივი.
ივნისი, 1960 წ.
„ვეჩერნი თბილისი“ 17/VI.

* * *

სურათებზე: ზევით — ჯვარის მონასტრის ეკლესია. მარჯვნივ პირველი სვეტის გვერდით (წინა პლანზე), გადმოცემის თანახმად, დაკრძალულია შოთა რუსთაველის ნეშტი; ქვემოთ — ფრესკები ჯვარის მონასტრის ეკლესიის ჭერზე.

---

[1] „ჯვარის მონასტრის ისტორია“ კრებულ „ახალ სიონში“. კრებული გამოცემულია იერუსალიმში ბერძნულ ენაზე 1905 წელს, ტომი 2, გვ. 646-647.

[2] ბესო ჟღენტის წინასიტყვაობა ნ. ზაბოლოცკის მიერ თარგმნილი „ვეფხისტყაოსნისათვის“. რსფსრ განათლების სამინისტროს საბავშვო ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობა. მოსკოვი. 1950 წ., გვ. 13-14.

[3] დიდი საბჭოთა ენციკლოპედია, ტომი 37, გვ. 482. (ა. ბარამიძისა და შ. ხიდაშელის სტატია).

[4] შ. ნუცუბიძის წინასიტყვაობა მისივე თარგმნილი „ვეფხისტყაოსნისათვის“. მხატვრული ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობა. მოსკოვი, 1941 წ., გვ. 16.

[5] კრებული „ახალი სიონი“, ტომი 2, გვ. 650-651. იერუსალიმი, 1905 წელი.

[6] „პალესტინის მონასტრების ქართველი ბერების ნამბობი არაქართველ პილიგრიმთა გადმოცემით“, გამოსცა 1937 წლის შემოდგომაზე ემიგრანტულმა, ამჟამად არარსებულმა ეგრეთწოდებულმა „საბერძნეთის ისტორიულმა საზოგადოებამ“, გვ. 222.

[7] ლიუკი. წერილი „ქრისტიანთა სათვისტომოები წმიდა საფლავის მიწაზე“ კრებულში „პროიერუსალიმის საბჭოს ნაწერები ინგლისის სამხედრო ადმინისტრაციის პერიოდში“. გამოსცა ეშბიმ ლონდონში 1922 წელს, ტომი 2, გვ. 55.

[8] კრებული „ახალი სიონი“, ტომი 2, გვ. 651.

[9] კრებული „ახალი სიონი“, ტომი 2, გვ. 665-666.

[10] „ენციკლოპედიური ლექსიკონი“ ბროკჰაუზისა და ეფრონისა, ტომი 27, გვ. 364.

[11] ibid გვ. 365.

[12] ibid გვ. 365.

[13] ალექსანდრე ცაგარელი. „ქართული სიძველის ძეგლები წმიდა მიწაზე და სინაში“, პეტერბურგი, 1888 წ.

[14] კრებული „ახალი სიონი“, ტომი 2, გვ. 667-671.

[15] კრებული „ახალი სიონი“, ტომი 2, გვ. 656.

ამინდი

მიმდინარე ზაფხულს საქართველოში ამინდის ხშირი ცვალებადობაა, ხან საგრძნობი სიგრილეა, ხან კი სიცხეა.

ივნისის დამდეგს დასავლეთ საქართველოში შედარებით გრილი ამინდი იყო. მაქსიმალური ტემპერატურა აღწევდა 25 გრადუსს, მინიმალური 9-14 გრადუსს. 12 ივნისიდან ტემპერატურა 35 გრადუსამდე ავიდა, 3 დღის შემდეგ კი ამინდი კვლავ შეიცვალა და 17 ივნისს მაქსიმალური ტემპერატურა 20-25 გრადუსამდე ჩამოვიდა. ამავე დროს დასავლეთ საქართველოს რაიონებში ივნისის დასაწყისიდან დღემდე ხშირად წვიმდა.

ასეთივე ცვალებადი ამინდი იდგა აღმოსავლეთ საქართველოში. იგი გამოწვეული იყო სხვადასხვა პერიოდში ხან ცივი და ხან თბილი ჰაერის მასების შემოჭრით ამიერკავკასიის ტერიტორიაზე. იმისდა მიხედვით, თუ რომელი ჰაერის მასა უფრო აქტიური იყო, ხდებოდა ტემპერატურის ცვალებადობა მთელ რესპუბლიკაში.

უახლოეს დღეებში, ამინდის ბიუროს ცნობებით, საქართველოს რაიონებში მეტწილად მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, ხანმოკლე წვიმა და ელჭექი, დასავლეთ საქართველოში — სუსტი ქარი, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში — დასავლეთის სუსტი, მტკვრის ხეობაში ზომიერი ძლიერამდე ქარი. ტემპერატურა რესპუბლიკის დაბლობ რაიონებში ღამით 14-19, დღისით 22-29 გრადუსი, მთიან რაიონებში — ღამით 6-11, დღისით 14-19 გრადუსი სითბო.

სპორტი

სსრ კავშირის პირველობაზე

პირველი ქვეჯგუფი

კიშინიოვი. 18 ივნისი. დღეს აქ შედგა საკავშირო პირველობის მორიგი მატჩი ფეხბურთში სსრ კავშირის ჩემპიონის მოსკოვის „დინამოსა“ და კიშინიოვის „მოლდოვას“ გუნდებს შორის. შეხვედრა დამთავრდა ფრედ 0:0.

ერევანი. 18 ივნისი. ადგილობრივი სპარტაკელები მეორე წრის პირველ მატჩში თავიანთ მოედანზე შეხვდნენ ლენინგრადის „ზენიტის“ ფეხბურთელთა კოლექტივს. მატჩის შედეგი 1:0 სპარტაკელთა სასარგებლოდ.

ხარკოვი. 18 ივნისი. დონის როსტოვის არმიის სასპორტო კლუბის ფეხბურთელები ხარკოვში თამაშობდნენ ადგილობრივი „ავანგარდის“ წინააღმდეგ. მატჩი დამთავრდა ფრედ 0:0.

ტაშკენტი. 18 ივნისი. საკავშირო პირველობის მეორე წრის მატჩი ფეხბურთში ტალინის „კალევისა“ და ტაშკენტის „პახტაკორის“ გუნდებს შორის დამთავრდა „პახტაკორის“ გამარჯვებით 2:0.

მეორე ქვეჯგუფი

მოსკოვი. 18 ივნისი. არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის ფეხბურთელთა კოლექტივი მოსკოვში შეხვდა კუიბიშევის „კრილია სოვეტოვის“ გუნდს. შეხვედრა დამთავრდა კუიბიშეველთა გამარჯვებით 1:0.



რა ემართება მსაჯს საკუთარ და სხვის მოედნებზე ჩატარებული მატჩების შემდეგ.

ჩეხოსლოვაკურ ჟურნალ „როგაჩიდან“.

პიანისტს ულოცავენ წარმატებას.
ფოტო ო. აროშელიძისა და ს. ონანოვისა.

ვან კლიბერნის პირველი კონცერტი

გუშინ ასობით თბილისელმა მიაშურა სახელმწიფო ფილარმონიის საზაფხულო თეატრს, სადაც თავისი პირველი კონცერტი გამართა ცნობილმა ამერიკელმა პიანისტმა ვან კლიბერნმა. პოპულარულმა მუსიკოსმა საქართველოს სიმფონიურ ორკესტრთან (დირიჟორი სსრ კავშირის სახალხო არტისტი ოდისეი დიმიტრიადი) ერთად დიდი ექსპრესიით, მუსიკალური ნაწარმოების სულში ჩაწვდომით შეასრულა რ. შუმანისა და ს. რახმანინოვის კონცერტები ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის.

მსმენელებმა ხანგრძლივი ტაშით დააჯილდოვეს ვან კლიბერნი.

მოსწავლეთა XII სპარტაკიადა

ხალხმრავალი იყო გუშინ თბილისის კიროვის სახელობის პარკის კალათბურთის სტადიონი. აქ ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის სპორტის მოყვარულებთან ერთად იყვნენ სწავლასა და სპორტში წარჩინებული გოგონები და ჭაბუკები, საქართველოს მოსწავლეთა XII ტრადიციული სპარტაკიადის ფინალის მონაწილეები.

საზეიმო მარშის ხმამ სპარტაკიადის გახსნის ცერემონიალის დასაწყისი გვამცნო. ნაირფერი სპორტული ალმებით მოედანზე მწყობრად შემოდიან კალათბურთელები და ფრენბურთელები, ჩოგბურთელები და სპორტის სხვა სახეობათა წარმომადგენლები.

სპარტაკიადის მონაწილეებს მიესალმა საქართველოს სსრ განათლების მინისტრი თ. ლაშქარაშვილი. ალამი აღმართეს გასულ სპარტაკიადაში გამარჯვებული გუნდის წარმომადგენლებმა — ჯანუყაშვილმა, ჯინჭარაშვილმა და მახარაძემ. ჟღერს საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნი.

პარადის მონაწილე სპორტსმენები ტოვებენ მოედანს. მათ მაყურებელთა ერთსულოვანი ტაში მიაცილებს.

წელს სპარტაკიადაში ნორჩი სპორტსმენები ერთმანეთს პირველობას ეცილებიან — მძლეოსნობაში, ტანვარჯიშში, ცურვაში, წყალბურთში, ველოსპორტში, სულ სპორტის 13 სახეობაში. ფინალურმა შეჯიბრებამ უნდა გამოავლინოს უძლიერესები, რომლებითაც დაკომპლექტდება საქართველოს მოსწავლეთა ნაკრები კოლექტივი. ეს გუნდი აგვისტოში გამოვა მინსკში საკავშირო-ზონალურ სპარტაკიადაში ესტონეთის, ლატვიის, ლიტვის, ბელორუსიის, აზერბაიჯანის, სომხეთისა და მოლდავეთის გუნდებთან ერთად.

დანარჩენი რესპუბლიკების გუნდები საკავშირო-ზონალურ ასპარეზობას მოაწყობენ ტაშკენტში. რსფსრ, უკრაინის, მოსკოვის, ლენინგრადისა და „შრომითი რეზერვების“ მოსწავლე სპორტსმენთა კოლექტივები ამ ზონების შეჯიბრებებში არ გამოვლენ, ისინი ემზადებიან საკავშირო სპარტაკიადისათვის, რომელიც მომავალ წელს ვილნიუსში მოეწყობა.

როგორც ვიუწყებოდით სპორტის ზოგიერთ სახეობაში გამოვლინდა ახალი ჩემპიონები, როგორც სასკოლო, ისე ნაკრებ გუნდებს შორის. 21 ივნისიდან ბრძოლაში ჩაებმებიან წყალბურთელები, 24 ივნისიდან — მაგიდის ჩოგბურთელები, 26 ივნისიდან — მცურავები, ველომრბოლელები, მსროლელები, 28 ივნისიდან — წყალში მხტომელები, ნიჩბოსნები.

დღემდე მოპოვებული მაჩვენებლები ცუდი როდია. უნდა მოველოდეთ, რომ ჩვენი რესპუბლიკის გოგონები და ჭაბუკები სპარტაკიადას მაღალი შედეგებით დაამთავრებენ.

ფრენბურთი

საერთაშორისო მატჩები

გუშინ თბილისს ეწვიენ ბუდაპეშტის „სპარტაკის“ ფრენბურთელ ქალთა და ვაჟთა გუნდები, რომლებიც ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის გუნდებთან რამდენიმე საერთაშორისო ამხანაგურ მატჩს გამართავენ.

თბილისელმა სპორტის მოყვარულებმა მოძმე უნგრელი ხალხის წარმომადგენლებს გულთბილი შეხვედრა მოუწყეს.

უნგრეთის „სპარტაკისა“ და თბილისის „ბურევესტნიკის“ გუნდების მატჩების დაწყებამდე კიროვის სახელობის პარკის კალათბურთის სტადიონზე მოეწყო ფრენბურთელთა პარადი, სპორტსმენებმა გაცვალეს სამახსოვრო სამკერდე ნიშნები, თაიგულები უძღვნეს ერთმანეთს.

პირველად ბრძოლაში ქალთა გუნდები ჩაებნენ. სტუმრები ძლიერ წინააღმდეგობას უწევდნენ თბილისის „ბურევესტნიკის“ გუნდს, მაგრამ დამარცხდნენ ანგარიშით 1:3. უფრო მძაფრი აღმოჩნდა ვაჟთა გუნდების ასპარეზობა. თბილისელებმა ძლიეს მეტოქეს და ეს შეხვედრაც მოიგეს ანგარიშით 3:1.

მორიგ საერთაშორისო შეხვედრებს უნგრელი ფრენბურთელები გამართავენ დღეს და ხვალ თბილისის მეორე და პირველ ნაკრებ გუნდებთან.

ჭადრაკი

საერთაშორისო ოსტატის ვ. გოგლიძის რედაქციით

გასულ საუკუნეში უცხოელ პრობლემისტთაგან ყველაზე ცნობილი იყო სამუელ ლოიდი, რომელმაც ბევრი გონებამახვილური და ლამაზი ამოცანა შეადგინა.

ქვემოთ მოგვყავს ერთ-ერთი მისი ორიგინალური ამოცანა:

ამოცანა № 11
ს. ლოიდი



შამათი 8 სვლაში

თუ დაფიდან ავიღებთ მხედარს, თეთრებს შეუძლიათ გააკეთონ შამათი ოთხ სვლაში.

თუ დაფიდან ავიღებთ მხედარსა და h2 პაიკს, თეთრებს შეუძლიათ გააკეთონ შამათი ხუთ სვლაში.

ხოლო თუ დაფიდან ავიღებთ ეტლს, მაშინ თეთრებს შეუძლიათ გააკეთონ შამათი ექვს სვლაში.

ამრიგად, ერთ ამოცანაში ოთხი ამოცანაა.

* * *

დ. სახვაძის (ტყიბული) № 8 ამოცანის გადაწყვეტა — 1. e4—e5!

სწორი გადაწყვეტა გამოგზავნა მ. ჯაყელმა (თბილისი).

რ. მინდაძის (ს. ორბელი) № 9 ამოცანის გადაწყვეტა — 1. ლ a2!

ამოცანის სწორი გადაწყვეტა გამოგზავნეს: შ. დარსაველიძემ (ბათუმი), მ. კინწურაშვილმა (ცხაკაია), ა. ხარჩილაძემ და ს. ადამოვმა (გორი), ნ. კვარაცხელიამ (ს. ჯგალი), ზ. ლონდაძემ (ს. კორბოული), ჯ. ონიანმა (ს. ჩოლური), კ. ბოტკოველმა (ს. იყალთო), ვ. გაჯიშვილმა (ს. ალიბეგლო), ი. იმერლიშვილმა (ქუთაისი), ქ. მზარულავამ (ს. ხეთა), რ. ქირთბაიამ (ს. ოტობაია), მ. კურტანიძემ (დაბა ორჯონიკიძე), ს. გოზალიშვილმა (თბილისი), ზ. სამხარაძემ (ს. ლაშე).

ქ. მზარულავას (ს. ხეთა) № 3 ეტიუდის გადაწყვეტა—1. მd3 კc4 2. მf4 კb3 3. მფg4 კd1+ 4. მფg3 კe5 5. d6 კ:d6 6. f6 მფg8 7. f7+ მფ:f7 8. მფh4 კ:f4 პატი.

ეტიუდის სწორი გადაწყვეტა გამოგზავნეს ი. ხიდეშელმა (ს. ხიდეშლები) და ს. გოზალიშვილმა (თბილისი).

სასამართლო დარბაზიდან

მკვლელი დახვრეტილია

— ს.. ს... — მიაძახეს შაუმიანისა და ნავთლუღის ქუჩის კუთხეში მიმავალ ტაქსის. ავტომანქანა შეჩერდა, შიგ თავაზიანად ჩასხდნენ ნაქეიფარი ძმაბიჭები რ. ჩობანოვი, ვ. აკოფიანი, ჰ. ახტიევი, ს. კაზარიანი და რ. ვანიანი.

— საით? — იკითხა მძღოლმა.

— პირდაპირ, დანარჩენს შემდეგ გეტყვით! — ბრძანეს „მგზავრებმა“.

ტაქსი, რომელსაც მძღოლი ქ. სირაკიანი მართავდა, იანვრის წვიმიან ღამეში ნავთლუღისაკენ მიჰქროდა... უცებ ერთ-ერთმა მგზავრმა შესძახა: — ხმა, კრინტი, თორემ აქვე გაგათავებთ! მძღოლს პირზე ხელი დააფარეს, ერთი საჭეს მიუჯდა და მანქანამ სოფელ ლილოსაკენ გაუხვია.. დანებისა და სასპორტო პისტოლეტების მუქარით მძღოლს წაართვეს 400 მანეთი, ჩაიწერეს მანქანის ნომერი, მძღოლის სახელი, გვარი და განუცხადეს: — თუ გაბედე და სადმე სიტყვა დასძარი, გაგიგებთ და მეორე დღესვე გაგათავებთ!..

მძარცველებმა იმავე ღამეს, მეორე, მესამე დღეს სხვა ტაქსების მძღოლებიც გაძარცვეს. ისინი დღითიდღე თავხედდებოდნენ, ნაძარცვი ფულით დროს ქეიფსა და თავაშვებულობაში ატარებდნენ... მათ გაძარცვეს ტაქსის მძღოლები ვ. რაჩკოვი, ც. სარქისიანი, ლ. შარაშენიძე, გ. კაზაროვი, ი. ჰაბუკაშვილი, შ. გალუსტოვი, ვ. ფილენკო და სხვები. იყო დღეები, როცა დღეში რამდენიმე კაცს ძარცვავდნენ. „საგასტროლოდ“ ხან კიროვაკანში, ხან ზესტაფონში და ხან სხვაგან დადიოდნენ.

მიმდინარე წლის 6 თებერვალს ღამით ბანდიტებმა გაიტაცეს ტაქსი, რომელსაც ლ. მახლისი მართავდა. წინააღმდეგობის გაწევისათვის მძღოლი თავსა და ზურგში დაჭრეს, სისხლისაგან დაცლილი ლ. მახლისი ბანდიტთა ჯგუფის მეთაურის რ. ჩობანოვის განკარგულებით მდინარე ლოჭინში გადააგდეს.

მკვლელთა ჯგუფი შეპყრობილ იქნა.

მათი საქმე გაარჩია საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ ამხ. ა. ტაკიძის თავმჯდომარეობით და პროკურორ ამხ. ა. გიგაურის მონაწილეობით. სასამართლომ რაფიკ (იგივე რაფაელ) იშხანის-ძე ჩობანოვს მიუსაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა, დანარჩენ მძარცველებს: ვ. ი. აკოფიანს, ჰ. ა. ახტიევს, ს. თ. კაზარიანს და რ. ლ. ვანიანს არასრულწლოვანობის გამო მიესაჯათ ათ-ათი წლის პატიმრობა პირადი ქონების კონფისკაციით.

განაჩენი რ. ი. ჩობანოვის მიმართ მოყვანილია სისრულეში.

ქ. კვარაციხელი.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

19 ივნისი



თეატრები: მოსკოვის სტანისლავსკის სახელობის დრამატული თეატრი — თოლია (დღისით), მაშენკა (საღამოს), **ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის** — მოკვეთილი (დღისით და საღამოს რუსთაველის თეატრის შენობაში), **მარჯანიშვილის სახელობის** — იულიუს კეისარი, და კლეოპატრა (საღამოს), **გრიბოედოვის სახელობის** — გაზაფხულის ვიოლინოები (დღისით და საღამოს).

ტელევიზია: 12.00 — „ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად“, 12.15 — უფროსკლასელთათვის — „აქ ეუფლებიან პროფესიას“, 12.30 — მხატვრული ფილმი „აკაკის აკვანი“ (ა. წერეთლის დაბადების 120 წლისთავის გამო), 14.00 — „უცხო ენის შემსწავლელთათვის“ — ინგლისური ენის გაკვეთილი, 18.30 — ფეხბურთის მატჩის რეპორტაჟი თბილისის „დინამოს“ სტადიონიდან ერთმანეთს ხვდებიან „ტორპედო“ (მოსკოვი) — „დინამო“ (თბილისი). 19.45 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის. 20.05 — კონცერტი მაყურებელთა თხოვნით, 20.45 — კინონარკვევი, 21.05 — კინოვიქტორინა.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 8-63-03, 8-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 8-72-80, ხაზმდივნოხი — 3-81-65, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის — 3-81-84, მარქსისტულ-ლენინური თეორიის, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 3-57-61, სოფლის მეურნეობის — 3-82-46, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, წერილების — 3-73-24, ინფორმაციის — 3-16-90, საილუსტრაციო — 3-20-48, მუშსოფლკორთა კაბინეტის — 3-08-67, განცხადებების მიღებისა — 3-64-42.

580 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.